CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 8 ივლისი, 2009 წელი. №152 (2190) | ფასი 50 ლარი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

## უიღურების გამოსვლებს დიდი მსხვერპლი მოჰყვა

A4



## კონკურსი ახალბედა მოდელებისთვის

A6



## რეგრესი სამშობლოში დაბრუნების წინ

A7



24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# ვაჭრობა არ შედგა

დიმიტრი ავალიანი

*საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ნატო-ში ინტეგრაციის მხარდაჭერა აშშ-ს პრეზიდენტმა გუშინ მოსკოვში კიდევ ერთხელ საჯაროდ დაადასტურა. რუსეთის პრემიერი ვლადიმირ პუტინი გუშინდელ შეხვედრაზე ბარაკ ობამასთან ფარული ვაჭრობის გამართვას შეეცადა და მას მეზობელ ქვეყნებთან რუსეთის "განსაკუთრებული ურთიერთობები" შეახსენა. კრემლის სურვილზე - აშშ-სთან გააფორმოს "დიდი გარიგება" და პოლიტიკური ვაჭრობის შედეგად, მთლიანად ხელში ჩაიგდოს საქართველო და საერთოდ პოსტსაბჭოთა სივრცე - დასავლელი მიმომხილველებიც ამახვილებენ ყურადღებას. თუმცა, "გადატვირთვის" რუსული ვერსია ვაშინგტონისთვის კატეგორიულად მიუღებელია.*

რუსული ჩექმის ძალა პუტინმა ობამას გუშინ საკუთარი თვალით, სპეციფიკურ გარემოში დაანახა.

გაგრძელება A3 გვერდზე



AFP ' 2009

# ბარაკ ობამა საერთაშორისო სამართალს იცავს

ნათია მსხილაძე

ქართველი ექსპერტები საქართველოსთვის სერიოზულ წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებენ იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სიმძლავრედ მოიხსენია.

ქართველ ექსპერტთა განმარტებით, ამერიკის პრეზიდენტმა მკაფიოდ გამოხატა პოზიცია, რომ საქართველოს აქვს თავისი პოლიტიკური გზა და ამ გზაზე მას ხელს ვერავინ შეუშლის.

**ამერიკის ახალი ადმინისტრაცია ამკვიდრებს სტანდარტს, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს ამა თუ იმ მოვლენის მიმართ. ობამას გზავნილი იყოს ის, რომ საქართველოს აქვს თავის გზა, ამ გზაზე მას ხელს ვერავინ შეუშლის და ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია დაეხმარება ქართველ ხალხს, რათა რუსული აგრესიის უსამართლობასთან ბრძოლა წარმატებით დაასრულოს,** - განაცხადა ექსპერტმა ანდრო ბარნოვმა გაზეთ 24 საათთან საუბრისას.

ექსპერტი ზურაბ დავითაშვილი კი აღნიშნავს, რომ აშშ-ს ლიდერმა თავის განცხადებაში კიდევ ერთხელ გააკეთა აქცენტი იმაზე, რომ ამერიკა ყოველთვის დაიცავს საერთაშორისო სამართლისა და დემოკრატიის პრინციპებს. **ყველა ხალხს, ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება, თვითონ აირჩიოს საკუთარი პოლიტიკური გზა. 21-ე საუკუნეში დიქტატურის დრო არ არის და ყველა ქვეყანამ თავისი საგარეო და საშინაო ორიენტაცია თავადვე უნდა განსაზღვროს,** - ამბობს დავითაშვილი.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის ექსპერტ კახა გოგოლაშვილის თქმით, ბარაკ ობამამ საქართველოს შესახებ გაკეთებული განცხადებით მიუთითა იმაზე, რომ ამერიკა საერთაშორისო სამართალს იცავს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# აშშ-ს პრეზიდენტი მოსკოვში პროგრამული სიტყვით გამოვიდა

მარიკა იაშვილი

ამერიკის შეერთებულ შტატებს სურს, რუსეთი "ძლიერი, თავდაჭერილი და აყვავებული" იხილოს, - ამის შესახებ აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ რუსეთის ეკონომიკური სკოლის კურსდამთავრებულებისთვის დიპლომების გადაცემის ცერემონიალზე განაცხადა. ღონისძიებაზე მისვლამდე, სამშაბათს დილით, ის ნოვო-ოგარევოში რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინს შეხვდა, ხოლო მანამდე ქვეყნის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან გამართა მოლაპარაკებები.

ამერიკის ლიდერის განმარტებით, მისი ასეთი პოზიცია "რუსი ხალხისა და რუსეთის ისტორიისადმი პატივისცემით არის განპირობებული." ობამამ ისიც აღნიშნა, რომ რუს და ამერიკელ ხალხს ერთმანეთის წინააღმდეგ არასდროს უომია და მეტიც, ისინი ერთად ებრძოდნენ ფაშიზმს.

მშვიდობიანმა, აყვავებულმა რუსეთმა მსოფლიოში ზესახელმწიფოს როლი უნდა ითამაშოს, ამ შემთხვევაში გლობალური პარტნიორობა კიდევ უფრო გამყარდება. ობამამ განაცხადა, რომ XX საუკუნეში რუსეთისა და აშშ-ს ანტაგონიზმზე საუბრობდნენ, ხოლო XIX საუკუნეში არსებობდა შეხედულება, რომ ამ ორ უდიდეს ზესახელმწიფოს მსოფლიო გავლენის სფეროებად უნდა დაეყო. "XXI საუკუნემ გვიჩვენა, რომ ორივე შეხედულება მცდარია," - მკაფიოდ აღნიშნა ამერიკის პრეზიდენტმა და დაამატა, რომ სწორედ ამ მიზეზით გამოდის ის რუსულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვის ინიციატივით.

ცივი ომის მშვიდობიანად დამთავრება რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების წყალობით მოხდა, რადგან მათ ასე გადაწყვიტეს, განაცხადა ობამამ. ამერიკელი ლიდერის განმარტებით, დღესდღეობით ზესახელმწიფოდ ყოფნა საკუთარი ძალის დემონსტრირებას არ ნიშნავს და უკვე გავიდა ის დრო, როდესაც იმპერიები სხვა ქვეყნებს ჭადრაკის ფიგურებივით ექცეოდნენ.

"მსოფლიოში დღეს არსებული წყობიდან გამომდინარე, ნებისმიერი ქვეყნის ან ადამიანთა ჯგუფის მცდელობა, სხვა ქვეყნებზე მაღლა დადგეს, დაუყოვნებლივ კრახით დამთავრდება.

გაგრძელება A4 გვერდზე

## პატიმრის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება

*არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის" ინფორმაციით, გლდანის საპყრობილეში მოშიმშილე პატიმარი, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, გლდანის ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ილია მეტრეველი უკვე 30 დღეზე მეტია შიმშილობს, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, თუმცა შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებს. ბრალდებული ამბობს, რომ არ ჩაუდენია დანაშაული, რომელშიც ბრალი ედება და მოითხოვს სასწრაფოდ შეწყდეს მის მიმართ უკანონო დევნა.*

ბრალდებულის ინტერესებს არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის" ადვოკატი კახა კვაშილავა იცავს, რომელმაც უკვე გაუგზავნა სპეციალური მიმართვები საქართველოს პრეზიდენტს, სახალხო დამცველს, მთავარ პროკურორს, კახეთის ოლქის და გურჯაანის რაიონის პროკურორებს.

ადვოკატის ინფორმაციით, ილია მეტრეველი 2009 წლის 3 ივნისს, თბილისში, ლაგოდეხის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს. მას ბრალი წარუდგინეს წინასწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის გასაღებაში.

როგორც ადვოკატი აცხადებს, ილია მეტრეველი არ აღიარებდა ბრალდებას. მისი განმარტებით, ნაცნობმა რომან კოჭლამაზაშვილმა მას აცნობა, რომ ბავშვი ჰყავდა ცუდად და იძულებული იყო საკუთარი ჭურჭელი ჩაებარებინა. კოჭლამაზიშვილმა ილია მეტრეველს "მშრალი ხიდის" ბაზრობაზე გაყოლა სთხოვა, სადაც კოჭლამაზიშვილმა ჭურჭელი ჩააბარა, გამყიდველებს საკუთარი პირადობის მოწმობის ასლიც დაუტოვა და თანხის წასაღებად მისვლა აღუთქვა. მეორე დღეს კოჭლამაზიშვილმა ილია მეტრეველს სთხოვა, მის ნაცვლად მისულიყო თანხის ასაღებად. ადვოკატის განცხადებით, მეტრეველი "მშრალ ხიდზე" მეუღლესთან ერთად მივიდა. ადგილზე მას პოლიციელები დახვდნენ, რომელთაც გაერკვიათ, რომ ჩაბარებული ნივთები ლაგოდეხის რაიონში მცხოვრებ ცირა ბაინდურაშვილის სახლიდან იყო მოპარული.

ადვოკატ კახა კვაშილავას განცხადებით, **"დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების გასაღება დანაშაულია, მაგრამ ეს დანაშაულია წინასწარი შეცნობის შეთხვევაში. ილია მეტრეველმა არ იცოდა, რომ ეს ნივთები დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული, შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობის საკითხი საერთოდ არ უნდა დამდგარიყო. პარადოქსულია ერთი ფაქტი - ვინც ნივთები ჩააბარა და პირადობის მოწმობა დატოვა, დაკავებული არ არის და მის მიმართ რაიმე სახის იძულების ღონისძიება არ გამოყენებულა. ილია მეტრეველს რამდენჯერმე შესთავაზეს ეთანამშრომლა გამოძიებასთან და ეღიარებინა დანაშაული, რის შემდეგაც, მცირე სასჯელს მიუსჯიდნენ, მაგრამ მეტრეველმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა. სანაცვლოდ კი, გამოძიებამ სრულიად მოულოდნელად, დაკავებიდან 27-ე დღეს მას მძიმე დანაშაულში - ქურდობაში დასდო ბრალი ბრალი."**

ილია მეტრეველის ადვოკატი და ორგანიზაცია "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი" მიიჩნევენ, რომ სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან მსგავსი მეთოდების გამოყენება არა მარტო ლახავს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს, არამედ დანაშაულია და საჭიროებს უმკაცრეს რეაგირებას შესაბამისი უწყებების მხრიდან. ***საკუთარი ინფორმაცია***

## ბრიუსელში ნატო-ს განვითარების ახალ კონცეფციას განიხილავენ

გუშინ ბრიუსელში ნატო-ს განვითარების ახალი კონცეფცია განიხილეს. ნატო-ს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებმა იმაზე იმსჯელეს, თუ როგორ უნდა უპასუხოს ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა მსოფლიოში არსებულ და მოსალოდნელ ახალ გამოწვევებს. სტრატეგიული კონცეფციის შემუშავების შესახებ გადაწყვეტილება ნატო-ს წევრი სახელმწიფოების ლიდერებმა აპრილში გამართულ საიუბილეო სამიტზე მიიღეს. "სტრატეგიულ დოკუმენტებზე მუშაობა ყოველთვის მნიშვნელოვანია. ალიანსი აგრძელებს ფუნქციონირებას, სამყარო საკმაოდ დინამიურია, გამოწვევები სახეს იცვლის ხოლმე, ახალი გამოწვევები ჩნდება და ამას უნდა პასუხობდეს სტრატეგიული დოკუმენტები, მათ შორის ალიანსის სტრატეგიული კონცეფცია," - აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით დარჩიაშვილი. ***ჯი-ეიჩ-ენი***

შვილი მერი ჩანადირი, სიძე გიზი სურგულაძე, შვილიშვილები ნინო და ვახტანგ სურგულაძეები, შვილთაშვილები ანა, ნუცა, გიზი სურგულაძეები, მირიან და ვატო მირიანაშვილები, რძალი ნინო პერტენავა, სიძე ზვიად მირიანაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ანა შაშუტკინა-ჩანადირი**

პანაშვიდი: 9, 10 ივლისი 17 საათი. მისამართი: თაყაიშვილის 4ა. გამოსვენება 11 ივლისს 15 საათზე, ივანე ღვითმეტყველის სახელობის ტაძრიდან, ქიაჩელის 21.

# ბარაკ ობამა საერთაშორისო სამართალს იცავს

პირველი გვერდიდან

**ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ძალიან მნიშვნელოვანი იყო ობამას მიერ გაკეთებული განცხადება, რომელიც პირდაპირ არის მიმართული ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისკენ. ამ განცხადებით თეთრი სახლის ლიდერმა კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ ის იცავს საერთაშორისო სამართალს. ასევე, ის იცავს თავის სტრატეგიულ ინტერესებს საქართველოში,** - აღნიშნა გაზეთ 24 საათთან საუბრისას კახა გოგოლაშვილმა.

### ბარაკ ობამას განცხადებებს ოპოზიციაც ეხმაურება

არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ობამა-მედვედევის შეხვედრის შემდეგ საქართველოს კვანძი არ გახსნილა. **აშშ-ს და რუსეთის მხრიდან იგივე სტატუს კვო დაგვრჩა, როგორიც გვქონდა. ამერიკის მხრიდან პირველად არ მომხდარა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის დაფიქსირება. სამწუხაროდ, საქართველოში კონფლიქტი ობამაზე არ არის დამოკიდებული,** - აღნიშნა ლევან გაჩეჩილაძემ.

ნინო ბურჯანაძის თქმით კი, ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ამერიკისა და რუსეთისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, მათ შორის საქართველოსთვის. **მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო აშშ-ს პრეზიდენტს და ამერიკელ ხალხს, რომ საქართველოს საკითხი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. შეხვედრა სერიოზული გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისა და პრეზიდენტისთვის. კერძოდ, მხარეებს შორის რაც არ უნდა რთული ურთიერთობები არსებობდეს, ყველაზე პრობლემატურ საკითხებზეც კი გადაწყვეტილების მიღება მოლაპარაკებების გზით უნდა მოხდეს. ნორმალური სახელმწიფო რომ ვიყოთ, ჩვენს პარტნიორებს და მეგობრებს შედეგების მიღწევა გაუადვილდებოდათ,** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

მოძრაობა სამართლიანი საქართველოს" ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი დარწმუნებულია, რომ რუსეთისა და აშშ-ს პოზიციების დაახლოება საქართველოს პრობლემების მოგვარებაზე დადებითად აისახება. **როგორც ჩანს, გადაიდგა სერიოზული ნაბიჯი რუსეთსა და აშშ-ს შორის თანამშრომლობის მხრივ, პოზიციების დაახლოების მიმართულებით, რაც, დარწმუნებული ვარ, სასიკეთოდ აისახება საქართველოს პრობლემების მოგვარებაზე. ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, როგორც დღეს საქართველოს მთავრობას და სააკაშვილს ჰგონია, რომ რუსეთსა და აშშ-ს შორის თანამშრომლობა საქართველოზე საზიანოდ აისახება,** - აცხადებს ზურაბ ნოღაიდელი.

ირაკლი ალასანიას გუნდის წევრი ვიქტორ დოლიძე ობამა-მედვედევის შეხვედრას მნიშვნელოვანს უწოდებს და აღნიშნავს, რომ გლობალური საკითხების გვერდით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის დაფიქსირება სერიოზული სიგნალია.

# მიუღებელი ცვლილებები

დათო გამისონია

*გუშინ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა და მხარი დაუჭირა რამდენიმე კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, კერძოდ - შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" და პოლიციის შესახებ" კანონებში და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. გუშინვე არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა და ექსპერტებმა მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს მიაწოდეს.*

არასაპარლამენტო ოპოზიციის განსაკუთრებული უკმაყოფილება მშვიდობიანი დემონსტრაციების გამართვის წესების შესახებ შესატანმა ცვლილებებმა გამოიწვია. მათთვის ასევე მიუღებელია პოლიციის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები, სადაც აღნიშნულია, რომ პოლიციას ყველა სახის არალეტალური იარაღის გამოყენების უფლება ექნება, ხოლო შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში ცვლილებების კანონპროექტის თანახმად, ხალხის და ტრანსპორტის სავალი ნაწილების ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი მოქალაქეთა სიმრავლის გამო მიტინგის გამართვა სხვაგვარად შეუძლებელია. გარდა ამისა, იგეგმება ადმინისტრაციული სანქციების გამკაცრება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტში მთავარ სიახლეს წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთის ვადის გახანგრძლივება 30-დან 90-დღემდე, ასევე მთელ რიგ შემთხვევებში საჯარიმო თანხის გაზრდა.

არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები, ექსპერტები და სახალხო დამცველი სასტუმრო ამბასადორში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე დიპლომატიური კორპუსიდან ფართო სპექტრი იყო წარმოდგენილი. მათ შორის იყვნენ აშშ-ს, შვედეთის, ჩეხეთის, გერმანიის, პოლონეთის საელჩოების, ევროკავშირის და ევროკომისიის წარმომადგენლები და ესტონეთის ელჩი. მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ კანონპროექტებზე სპეციალური დასკვნა მოამზადა და ამბასადორში მყოფ უცხოელ დიპლომატებს დეტალურად გააცნო ინფორმაცია კანონპროექტების შესახებ.

24 საათთან საუბარში ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდის წევრმა ვიქტორ დოლიძემ განაცხადა, რომ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები რამდენიმე საკითხით განსაკუთრებით დაინტერესდნენ. ალიანსი საქართველოსთვის ერთ-ერთ ლიდერს იმედი აქვს, რომ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები შესაბამის ზეგავლენას მოახდენენ როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. **საკმაოდ კაზუსურ საკითხებთან გვაქვს საქმე, პრაქტიკულად 100-პროცენტიანი ცდომილებაა დემოკრატიულ განვითარებასა და ამ კანონპროექტებს შორის. ხელისუფლების ნაბიჯები აბსოლუტურად არ შეესაბამება დემოკრატიული განვითარების პროცესებს,** - მიიჩნევს დოლიძე.

შეხვედრაზე მყოფი სახალხო დამცველი დაეთანხმა კონსტიტუციაში რამდენიმე დეტალის დაზუსტებას, თუმცა, საბოლოო ჯამში, სოზარ სუბარისთვის შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი მიუღებელია. ომბუდსმენი მიიჩნევს, რომ კანონპროექტი, რომლის დამტკიცებასაც ხელისუფლება აპირებს, საქართველოს კონსტიტუციას და ევროკონვენციას არ შეესაბამება. ამასთანავე, სუბარმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პოლიციის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე. **პოლიციისთვის კანონმდებლობით არალეტალური იარაღის გამოყენების უფლების მინიჭება ავტომატურად ნიშნავს იმის აღიარებას, რომ დღემდე რეზინის და პლასტიკური ტყვიების გამოყენება სრულიად უკანონოდ ხდებოდა. შესაბამისად, ყველა იმ პირმა, ვინც ამაში მონაწილეობდა, პასუხი უნდა აგოს,** - განაცხადა სახალხო დამცველმა.

გარდა ამისა, არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა შეაფასეს ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ნაბიჯები. **ხელისუფლება ცდილობს, დემოკრატიის ყველა კარი დახუროს და არანაირი გზა არ დატოვოს ცივილიზებული ფორმებით, არჩევნების გზით ხელისუფლების შესაცვლელად, ეს კი ხალხის აფეთქებას გამოიწვევს,** - განაცხადა დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ. საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა გაუმართლებლად მიაჩნია არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერ ლევან გაჩეჩილაძეს. მისი აზრით, ამგვარი ცვლილებები დიქტატურისკენ სვლაა, თუმცა, გაჩეჩილაძე იმედოვნებს, რომ საქართველოს საზოგადოება ხელისუფლების ამ ნაბიჯს არ შეეგუება. **ვიდრე ხელისუფლების მხრიდან ძალადობას ექნება ადგილი და სანამ ამის მიმართ საზოგადოებაში არის პროტესტი, აქციებიც იქნება. ამას ვერანაირი კანონპროექტი ვერ გააჩერებს,** - განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა პასუხი გასცა არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერების განცხადებებს. მისი თქმით, კანონპროექტთა პაკეტით განსაზღვრული წესები ამჟამად თბილისში მიმდინარე საპროტესტო დემონსტრაციებს არ შეეხება. შესაბამის კანონპროექტთა პაკეტის ამოქმედების ვადა ჯერჯერობით შეთანხმებული არ არის და ამ ეტაპზე ღიად რჩება. **არავინ აპირებს ოპოზიციის აქციების დარბევას, განსაკუთრებით ახლა, როდესაც მათ თავიანითი სახე უკვე აჩვენეს. მანიფესტაციების გამართვის შესახებ ახალი წესების ამოქმედება მოგვიანებით იგეგმება,** - განაცხადა კუბლაშვილმა.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ვაჭრობა არ შედგა

პირველი გვერდიდან

საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემები რუსეთის პრემიერმა და ამერიკის პრეზიდენტმა ნოვო-ოგარიოვოს რეზიდენციაში, "ტრადიციულ რუსულ საუზმეზე", გახურებული სამოვარის თანხლებით განიხილეს, რომელსაც თვალსაჩინოებისთვის ასევე ტრადიციული ჩექმა ედგა თავზე.

შეხვედრის წინ სტუმარ-მასპინძელს ერთმანეთისთვის კომპლიმენტები არ დაუშურებიათ. პუტინს, რომელიც, როგორც რამდენიმე დღის წინ თავად ობამამ განაცხადა, **"ცალი ფეხით წარსულში დგას"**, აშშ-ს პრეზიდენტმა **"რუსი ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობა"** შეუქო და ისიც აღნიშნა, რომ საინტერესო საუბარს ელის.

პოლიტიკური საუზმის დასრულების შემდეგ არც პუტინსა და არც ობამას კომენტარი არ გაუკეთებიათ. თუმცა, რუსეთის მთავრობის აპარატის ხელმძღვანელის მოადგილემ იური უშაკოვმა შეხვედრის, მისი გაგებით, ოპტიმისტური შედეგები გაახმოვანა. როგორც აღმოჩნდა, საქართველო რუსეთის პრემიერისა და აშშ-ს პრეზიდენტის საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო.

უშაკოვის თქმით, ამერიკის პრეზიდენტს პუტინისთვის არანაირი პირობა არ მიუცია რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის თაობაზე, თუმცა **"დაპირდა, რომ უფრო მეტად გაითვალისწინებს რუსეთის ინტერესებს საქართველოს, უკრაინისა და მთლიანად დსთ-ს მიმართ."**

პუტინმა, უშაკოვის თქმით, **"ვრცლად ისაუბრა რუსეთის ახლანდელ ურთიერთობაზე საქართველოსა და უკრაინასთან"** და საკუთარი არგუმენტები მოიყვანა, კერძოდ ის, რომ **"უკრაინაში 17 მილიონი რუსეთის მოქალაქე ცხოვრობს."**

რაც შეეხება საქართველოს, პუტინმა რუსეთთან კონფლიქტის მიზეზად **"საქართველოს პრეზიდენტის მიერ აშშ-ს პოზიციისა და მხარდაჭერის არასწორი გაგება"** დაასახელა.

**"ვლადიმირ ვლადიმიროვიჩის ყველა აზრი განსაკუთრებული ყურადღებით იქნა მიღებული და პრეზიდენტმა ობამამ პირობა დადო, რომ ამ ქვეყნებთან ჩვენი მეზობლობის ყველა თავისებურებას გაითვალისწინებს,"** - განაცხადა უშაკოვმა.

თუ რამდენად "გაითვალისწინა" აშშ-ს პრეზიდენტმა კრემლის სურვილი პოსტსაბჭოთა სივრცის სრულ ბატონ-პატრონობაზე, ორიოდე საათში, რუსეთის ეკონომიკის უმაღლესი სკოლის სტუდენტების წინაშე ბარაკ ობამას გამოსვლის დროს გამოჩნდა.

მან აღნიშნა, რომ აშშ სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ერთგულია. **"ეს მსოფლიო წესრიგის საფუძველი უნდა გახდეს. სახელმწიფოებმა ასევე თავად უნდა აირჩიონ თავიანთი ლიდერები, ჰქონდეთ მდგრადი საზღვრები და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა,** - განაცხადა ბარაკ ობამამ. მისი თქმით, **"ეს, რასაკვირველია, გულისხმობს ისეთ ქვეყნებს, როგორებიც საქართველო და უკრაინა არიან,"** თუმცა, **"რუსეთსა და შეერთებულ შტატებსაც ეხება."**

სწორედ ამიტომ, ბარაკ ობამას განცხადებით, აშშ მხარს უჭერს საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებას.

ეს განცხადებები რუსული მხარისთვის უკიდურესად გამაღიზიანებელი აღმოჩნდა. ფედერაციის საბჭოს სპიკერმა სერგეი მირონოვმა ობამასთან შეხვედრაზე დემონსტრაციული უარი განაცხადა, რადგან, მისი თქმით, "გადატვირთვის" პარალელურად ნატო-ს გაფართოებაზე საუბრები მიუღებელია. მირონოვი ობამას გუშინდელ გამოსვლას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ **"აშშ-ს პრეზიდენტის მიერ საკითხის ასეთი ფორმულირება არასწორია და იგი შარშანდელი აგვისტოს მოვლენებში უკეთ უნდა გაერკვეს."**

ბარაკ ობამას მიერ მოსკოვში გაკეთებულ განცხადებებს გუშინ თბილისში კმაყოფილებით შეხვდნენ. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა აღნიშნა, რომ ბარაკ ობამას მიერ რუსეთში გამართული შეხვედრები უმნიშვნელოვანესია მთელი მსოფლიოსთვის და განსაკუთრებით საქართველოსთვის. პრემიერის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამერიკის პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ახსენა საქართველო, როგორც უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელზეც მოსკოვი და ვაშინგტონი ვერ თანხმდებიან. **"ეს აბსოლუტურად ყველასთვის არის სიგნალი, რომელიც უნდა შეისმინონ არა მხოლოდ ჩვენმა მეგობრებმა, არამედ იმათაც, ვინც საქართველოს განვითარების შეფერხებას ცდილობს. აშშ-ს პრეზიდენტის ყველა განცხადება კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ჩვენი ქვეყანა ვაჭრობის საგანი არასდროს გახდება,"** - განაცხადა ნიკა გილაურმა.

რუსი ექსპერტი ანდრეი პიონტკოვსკი ობამას მოსკოვში ვიზიტის შედეგებს საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მოსალოდნელი აგრესიის კუთხით განიხილავს. ამ მხრივ, მისი აზრით, **"საუზმე ნოვო-ოგარიოვოში ძალიან საინტერესოა."**

პიონტკოვსკის მიაჩნია, რომ "მეორე ქართული ომი" ბარაკ ობამასთვის დიდი პოლიტიკური უსიამოვნება იქნებოდა. ამიტომაც, მან მისი თავიდან ასაცილებლად გარკვეული ზომები მიიღო.

კერძოდ, განაცხადა, რომ ივლისის შუა რიცხვებში საქართველოში ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენს გამოგზავნის, **"როგორც ჩანს, ცოცხალი ფარის ფუნქციით."**

მედვედევთან მოლაპარაკებისას კი ობამამ ღიად დააყენა **"სამხედრო კონფლიქტის განახლების შესაძლებლობის საკითხი."** ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს შესახებ ობამას განცხადების რუსულ თარგმანზე, რომელიც რუსულმა სააგენტოებმა გაავრცელეს. ამ ტექსტიდან ამოღებულია ყველა მინიშნება იმაზე, რომ ამერიკის პრეზიდენტმა რუსული მხარისგან კონფლიქტის განუახლებლობის რაღაც სახის პირობა მიიღო.

**"ობამამ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. ახლა ისე ჩანს, რომ ომი არ დაიწყება,"** - აღნიშნავს პიონტკოვსკი.

კიდევ ერთი რუსი მიმომხილველი, რადიო "ეხო მოსკვის" მთავარი რედაქტორი ალექსეი ვენედიქტოვი აღნიშნავს, რომ **"ამერიკელებისთვის უსაფრთხოების სისტემა ვაჭრობის საგანი არ არის."** მისი თქმით, საქართველოს "გაცვლა" რაიმე დათმობაში ვაშინგტონისთვის შეუძლებელია. ობამა-მედვედევის შეხვედრაზე, ვენედიქტოვის აზრით, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოს საკითხში ამერიკის პოზიცია შეუვალია.

ბარაკ ობამას გუშინდელ განცხადებას მიესალმა აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი.

**"მინდა, გამოვეხმაურო ობამას განცხადებას უკრაინასა და საქართველოს შესახებ და აღვნიშნო, რომ ყველა ქვეყნისთვის და მათ შორის ამ ქვეყნებისთვის, ერთა თვითგამორკვევა უმთავრესი ღირებულებაა,"** - განაცხადა ოლბრაიტმა. მის განმარტებით, ყველა ქვეყანამ თვითონ უნდა აირჩიოს, რომელ ალიანსში გაერთიანდეს. **"როცა მე ვიყავი სახელმწიფო მდივანი და ვსაუბრობდით ევროპის უსაფრთხოებაზე, რუსეთს ჰქონდა აზრის დაფიქსირების უფლება, მაგრამ ვეტოს უფლება არ გააჩნდა,"** - აღნიშნა ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა.

იმავდროულად, დასავლური პრესა ფრთხილ კომენტარებს უძღვნის ობამა-მედვედევის შეხვედრის შედეგებს, კერძოდ, მის გავლენას საქართველოზე. დასავლელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ჯერჯერობით გაურკვეველია ორი ქვეყნის ლიდერების მოლაპარაკების გავლენა საქართველოს ბედზე. ისინი ობამას მეტი სიმტკიცისკენ და რუსეთის ხელისუფალთა მენტალიტეტის უკეთ გაგებისკენ მოუწოდებენ.

**"ჯერჯერობით უცნობია, რამდენად დიდ ეფექტს მოახდენს კეთილგანწყობის ატმოსფერო და რიტორიკის შერბილება საკამათო საკითხებზე, ისეთებზე, როგორებიც არის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა და საქართველო,"** - წერს ბრიტანული "ინდეპენდენტი."

ბირთვული იარაღის შემცირების და ავღანეთის მიმართულებით ტრანზიტის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმებები **"ვერ ჩააქრობენ ანტაგონიზმს, რომელიც საქართველოში შარშანდელმა ომმა წარმოშვა,"** - აღნიშნავს, თავის მხრივ, "ფაინეშენალ თაიმსი."

გამოცემა წერს, რომ ჩიხში შესული სიტუაცია რუსეთისადმი ობამას მცდარ მიდგომაზე მიუთითებს - იგი ცდილობს, რუსეთთან ისე ითანამშრომლოს, რომ ორივე მხარემ მოიგოს. **"რუსეთი კი ამ ურთიერთობას ხელების გადაწევის ნაირსახეობად განიხილავს. ის საქართველოს საკითხის დაკნინებას ისე აღიქვამს, როგორც მზადყოფნას რუსეთისთვის პოსტსაბჭოთა სივრცის გავლენის სფეროდ დასათმობად,"** - წერს "ფაინეშენალ თაიმსი."

ავტორი აღნიშნავს, რომ ამ სიტუაციაში ობამა ზეწოლას არ უნდა დაემორჩილოს და მტკიცედ დაიცვას საკუთარი საგარეო-პოლიტიკური კურსი.

**"ნატო-ს წევრობა საუკეთესო თავდაცვა გახდებოდა საქართველოსთვის, რომლის წინააღმდეგ რუსეთი ახალ აგრესიას ამზადებს,** - აღნიშნავს ამერიკული "უოლ სთრით ჯორნელი." ამიტომაც, ავტორის აზრით, ობამამ ნატო-ში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გაწევრიანების საკითხში არ უნდა დათმოს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ეს სახელმწიფოები ან რუსეთის სატელიტებად იქცევიან, ან არასტაბილურობის სარტყელს შექმნიან, რუსეთსა და დასავლეთისთვის არაპროგნოზირებადი შედეგებით.

ერთადერთი "გადატვირთვა", რომლითაც რუსეთია დაინტერესებული, არის "დიდი გარიგება" ანუ შეთანხმება იმის შესახებ, რომ აშშ-მ პოსტსაბჭოთა სივრცეზე რუსეთის ინტერესები დააკმაყოფილოს, მოსკოვი კი მას დაეხმაროს ირანის, ჩრდილოეთ კორეის და ავღანეთის პრობლემების გადაწყვეტაში. **"ასეთი გარიგება აშშ-რუსეთის ურთიერთობებს ყველა მორალურ კრიტერიუმს დაუკარგავდა და აშშ-ს აღარ მისცემდა საშუალებას მომავალში რუსეთის მოთხოვნების შესაზღუდად,"** - აღნიშნავს მიმომხილველი.

მისი აზრით, რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებში პრობლემების პროვოცირებას რუსეთი ახდენს და მის პრეტენზიებს აშშ წინ უნდა აღუდგეს, სანამ **"მათი შემქმნელი მენტალიტეტი არ შეიცვლება.**

## საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რუსეთის გენერალურ პროკურატურას უარი უთხრა

რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ ალექსანდრე გლუხოვის ექსტრადიციის თხოვნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დიპლომატიური არხების გამოყენებით მიმართა. ექსტრადიციის ოფიციალური შუამდგომლობა ქართულ მხარეს საქართველოში რუსეთის ფედერაციის ინტერესების დამცველი შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს მეშვეობით 1 ივნისს გადმოეცა.

საექსტრადიციო დოკუმენტების მიხედვით, რუსეთის ფედერაციის პროკურატურა გლუხოვს დეზერტირობას სდებს ბრალად, კერძოდ, გლუხოვის მიერ ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული ერთ-ერთი რუსული სამხედრო ნაწილის დატოვებას. ექსტრადიციის შუამდგომლობის ქართული მხარისთვის გადმოცემამდე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დააკმაყოფილა ალექსანდრე გლუხოვის განაცხადი საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მინიჭების შესახებ.

ამასთან, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის ჟენევის კონვენციის 33-ე მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს გააჩნია საერთაშორისო ვალდებულება, არ მოახდინოს პირის ექსტრადიცია იმ სახელმწიფოში, სადაც მას რაიმე ნიშნით დევნა ემუქრება.

ხსენებული ვალდებულების მხედველობაში მიღებით, 16 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ არ დააკმაყოფილა რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა გლუხოვის ექსტრადიციის შესახებ. ე.წ. სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული რუსული საოკუპაციო არმიის წარმომადგენელმა ალექსანდრე გლუხოვმა სამხრეთ ოსეთში განლაგებული რუსული სამხედრო ნაწილი იქ არსებული გაუსაძლისი პირობების გამო მიმდინარე წლის 27 იანვარს დატოვა და საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა.

ალექსანდრე გლუხოვი რუსეთში ნებაყოფლობით დაბრუნებაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აგვისტოს ომის გამომწვევ მიზეზებზე საქართველოს მთავრობა საკუთარ ანგარიშს ამზადებს

აგვისტოს ომის გამომწვევ მიზეზებზე საქართველოს მთავრობა საკუთარ ანგარიშს ამზადებს. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თქმით, ანგარიშში ასახული იქნება ის ეტაპები, თუ როგორ მივიდა ქვეყანა შეიარაღებულ კონფლიქტამდე.

თემურ იაკობაშვილის თქმით, ანგარიშს თან ახლავს 250-ზე მეტი დოკუმენტი და ვიდეო ფაილი, რომლის გამოქვეყნებასაც ხელისუფლება ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნის დასრულებამდე აპირებს. "დოკუმენტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეს მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების პოზიცია არ არის.

მასში ძალიან ბევრი დოკუმენტალური დანართია, რომლებზეც ჩვენ გავაკეთეთ დასკვნები და ეს ძალიან საინტერესო იქნება ბევრი ქვეყნისთვის," - განაცხადა თემურ იაკობაშვილმა.

ევროკავშირის საგამოძიებო კომისიას დასკვნა 31 ივნისს უნდა წარმოედგინა, თუმცა ევროკავშირში კომისიის მუშაობის დასრულების გადავადების საკითხს განიხილავენ. სავარაუდოდ, კომისიის მუშაობა კიდევ სამ თვეს გაგრძელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**



ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ცნობილი ინჟინერის, ბატონი

**ბონდო მიხეილის ძე მშვილდაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ლევან მახვილაძე, ავთანდილ განუგრავა, გურამ ფულარია, ირაკლი მიქელაძე, დემურ შამათავა, ლევან მხეიძე, ჯიმშერ გიორგობიანი, ზურაბ ჯღარკავა

# აშშ-ს პრეზიდენტი მოსკოვში პროგრამული სიტყვით გამოვიდა

პირველი გვერდიდან

ძალაუფლებისთვის ბრძოლა უკვე აღარ არის თამაში ნულოვანი საწყისით," - განაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა.

ამერიკელი ლიდერი დარწმუნებულია, რომ აშშ-მ და რუსეთმა ერთობლივი ინტერესები უნდა განსაზღვრონ. "აუცილებელია არა მხოლოდ კრემლისა და თეთრი სახლის ურთიერთობების ახალი გვერდიდან დაწყება, მიუხედავად იმისა, რომ ესეც მნიშვნელოვანია. ამერიკელი და რუსი ხალხი საერთო ინტერესების განსაზღვრისკენ, დიალოგის გაფართოებისა და თანამშრომლობისკენ უნდა ისწრაფვოდნენ, რაც პროგრესისკენ წინსვლას შეუწყობს ხელს." ეს არც ისე მარტივი ამოცანაა, რადგან ყოფილი მეტოქეებისთვის რთულია საერთო მიზნებისთვის ბრძოლა, "მაგრამ ამ ორ ქვეყანას საერთო ინტერესები ნამდვილად აქვს," - აღნიშნა ობამამ.

ამერიკას სურს, რომ ევროპასა და მსოფლიოში უსაფრთხოების ახალ კონფიგურაციაზე რუსეთთან ერთად იმუშაოს. როგორც ამერიკელმა ლიდერმა განაცხადა, მას მყარად აქვს გადაწყვეტილი, მსოფლიოში ბირთვული იარაღის გავრცელებას შეუშალოს ხელი და იმ შემთხვევაში, თუ ბირთვული საფრთხე აღარ იარსებებს, აღარც აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების განთავსება გახდება აუცილებელი.

"ვიცი, რომ რუსეთი ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების კონფიგურაციის წინააღმდეგია, - განაცხადა ობამამ, - ჩემს ადმინისტრაციას მსოფლიოში უსაფრთხოების დონის გაზრდა დავავალე. ეს სისტემა ირანის ან ჩრდილოეთ კორეის მხრიდან თავდასხმების ალსაკვეთად არის აუცილებელი. მე მინდა, ახალ არქიტექტურაზე, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ახალ კონფიგურაციაზე რუსეთთან ერთად ვიმუშაო."

ობამას თქმით, რუსეთთან ნატო-მაც უნდა ითანამშრომლოს. ამერიკელი ლიდერის აზრით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ამისთვის მზად არის.

თავის სიტყვაში ბარაკ ობამამ ამერიკის ახალი ადმინისტრაციის ოთხ პრიორიტეტზე ისაუბრა. მისი თქმით, ოფიციალური ვაშინგტონისთვის ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანია მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისთვის ხელის შეშლა, პაკისტანიდან და ავღანეთის ტერიტორიიდან მომავალი ტერორიზმის საფრთხესთან ბრძოლა, გლობალური ეკონომიკური კრიზისის დაძლევა და დემოკრატიული ფასეულობების გამყარება.

გამოსვლაში ობამა საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემასაც შეეხო და განაცხადა, რომ "ალ-ქაიდა" და მასთან დაკავშირებული ტერორისტები მსოფლიოში მშვიდობას მრავალი წლის განმავლობაში არღვევდნენ, "შეუბრალებლად ხოცავდნენ კაცებს, ქალებს და ბავშვებს ეროვნებისა და რელიგიის განურჩევლად, მათ შორის მუსლიმებსაც." ობამა აღნიშნავს, რომ აშშ მზად არის, პასუხისმგებლობით მოეკიდოს აღებულ ვალდებულებებს და ამისკენ სხვა ქვეყნებსაც მოუწოდებს.

ეკონომიკურ პრობლემებზე საუბრისას პრეზიდენტმა აღიარა, რომ დამოუკიდებლად ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეძლებს, გლობალური ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივად იქცეს. "ამჟამინდელი თაობის ცხოვრებაში ყველაზე დიდი რეცესია შეინიშნება. როდესაც ბაზარი კონტროლის გარეშეა დარჩენილი, აუცილებლად მოგიხდებათ პრობლემებთან შეჯახება, მიუხედავად იმისა, სად ცხოვრობთ - მისისიპის ახლოს თუ ვოლგის ნაპირებთან," - აღნიშნა მან ეკონომიკური სკოლის კურსდამთავრებულებთან საუბრისას

ობამას მიაჩნია, რომ თავისუფალი ვაჭრობის პირობებში ორ ქვეყანას პარტნიორული დამოკიდებულების ჩამოყალიბება შეუძლია, მათ შორის ინვესტიციებისა და ენერგეტიკის სფეროშიც. "მთავრობებს შეუძლიათ, ამგვარ თანამშრომლობას ხელი შეუწყონ, მაგრამ მათი განვითარება მხოლოდ უშუალოდ ხალხზეა დამოკიდებული. ქვეყნები, რომლებიც ამ რესურსის გამოყენებას შეძლებენ, XXI საუკუნეში ბევრს მიაღწევენ," - განაცხადა ობამამ.

ამასთანავე, ამერიკის პრეზიდენტმა განსაკუთრებულად აღნიშნა ის ფაქტი, რომ წარმატების მიღწევა მხოლოდ "ადამიანის უფლებების უზენაესობის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი," როცა ხალხი ქრთამის გადახდის გარეშე შეძლებს საკუთარი საქმის წარმართვას.

# უიღურების გამოსვლებს დიდი მსხვერპლი მოჰყვა

ივა შილაკაძე



ჩინეთის არმიამ უიღურების პროტესტი ჩაახშო.

ჩინეთის დასავლეთ ნაწილის პროვინცია სინძიანში მასობრივი უწესრიგობების შედეგად, ოფიციალური ინფორმაციით, დაიღუპა 156, დაიჭრა 1000-ზე მეტი და დააპატიმრეს 1400-ზე მეტი ადამიანი. დაღუპულთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს. როგორც ჩანს, ხალხის ნაწილი მძიმედ არის დაშავებული ან ჯერ დაღუპულების შესახებ სრული ინფორმაცია არ მოეპოვებათ. 20 წლის წინ პეკინში, ტიანენმენის მოედანზე მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ეს ჩინეთში მასობრივი პროტესტის ყველაზე სისხლიანი ჩახშობაა.

როგორც მედიასაშუალებები იუწყებიან, უიღურების მასობრივი პროტესტის მიზეზი გახდა ივნისში მომხდარი სისხლიანი შეტაკება ჩინეთის სამხრეთში, პროვინცია გუანდუნის ქალაქ შაოგუანში. იქ სათამაშოების ფაბრიკაში ეროვნებით ჩინელმა (ჩინეთში ყველაზე გავრცელებული ეთნოსის - ხანის წარმომადგენელმა) ქალმა ორ თანამშრომელს, ეროვნებით უიგურებს, სექსუალურ ძალადობში დასდო ბრალი. ამას მოჰყვა მასობრივი შეტაკება უიღურებსა და ჩინელებს შორის, რის შედეგადაც დაიღუპა ორი (ეროვნებით უიღური) და დაიჭრა 118 ადამიანი. უიღურების ინფორმაციით, მსხვერპლი გაცილებით უფრო მეტი იყო და ხელისუფლება ამას მალავს.

პროვინცია სინძიანის ქალაქ ურუმჩიში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები სწორედ შაოგუანში უიღურების დაღუპვამ გამოიწვია. პროტესტი შაბათს დაიწყო, როცა ქუჩაში რამდენიმე ასეული ადამიანი გამოვიდა, ხოლო კვირას ხალხის რაოდენობამ იმატა (სხვადასხვა მონაცემებით, 1500-იდან 3000-მდე) და პროტესტი მასობრივ არეულობებში გადაიზარდა. ჩინეთის ოფიციალური მონაცემებით, დემონსტრანტები შეიარაღებულნი იყვნენ დანებით, ქვებითა და ხელკეტებით. მათ დაარბიეს და დალეწეს მანქანები, მაღაზიები და თავს დაესხნენ რიგით მოქალაქეებს და უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს. ოფიციალური ინფორმაციით, დამტვრეულია 260 ავტომობილი, დარბეულია 200-მდე მაღაზია და საცხოვრებელი სახლი. კვირა საღამოსთვის ურუმჩიში პოლიციამ წესრიგი დაამყარა, მაგრამ ქალაქში ისევ რჩებიან შეჯავშნული მანქანები (ეს ბოლო ინფორმაცია მოსახლეობისგან როიტერმა მოიპოვა). შემოღებულია კომენდანტის საათი. შეზღუდულია ტრანსპორტის მოძრაობა. ჩინეთის ხელისუფლებამ ამ რეგიონში მთლიანად გათიშა ინტერნეტი და მოსახლეობას უცხოელ ჟურნალისტებთან დასაკავშირებლად მხოლოდ ტელეფონის გამოყენება შეუძლია. ხალხში არსებული დაუზუსტებელი ინფორმაციით, ეს მდგომარეობა 48 საათს გაგრძელდება.

ჩინეთის ხელისუფლება ირწმუნება, რომ მასობრივი გამოსვლები უცხოეთში მცხოვრებმა უიღურმა სეპარატისტებმა გამოიწვიეს, რომლებიც თანამემამულეებს ეთნიკურ ჩინელებზე თავდასხმისკენ ინტერნეტის საშუალებით მოუწოდებდნენ. უფრო კონკრეტულად, მათ ბრალი დასდეს უიღურების ლიდერს, ბიზნესმენ ქალს რებიია კადირს, რომელიც შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და უიღურების მსოფლიო კონგრესის თავმჯდომარეა.

უცხოეთში მცხოვრები უიღურები აცხადებენ, რომ ჩინეთის პოლიციამ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა. ამერიკაში მცხოვრები უიღურების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალიმ სეიტოფმა უშიშროების ძალების სასტიკი რეაქცია დაგმო. მან მსოფლიო თანამეგობრობას ჩინეთში უდანაშაულო უიღურების დახოცვის დაგმობისაკენ მოუწოდა და დასძინა, რომ ეს უიღური ხალხის ისტორიაში შავი თარიღია. იაპონიაში მცხოვრებმა უიღურთა ასოციაციის თავმჯდომარემ ილჰამ მაჰმუტმა სააგენტო ფრანს პრესს განუცხადა, რომ სამი ათასი მშვიდობიანი დემონსტრანტის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღით და ელექტროშოკიანი ხელკეტებით შეიარაღებული, დაახლოებით, ათასი პოლიციელი მოქმედებდა. მანვე ფრანგულ სააგენტოს ინტერნეტით გადაუგზავნა ურუმჩიში გადაღებული ფოტოები, მაგრამ ფრანს პრესი ვერ ადასტურებს, თუ როდის არის ეს სურათები გადაღებული. მათზე მხოლოდ სპეციალურ ამუნიციაში ჩაცმული ჩინელი სამართალდამცავები ჩანან, რომლებიც გაურკვეველი მიმართულებით გარბიან.

ორშაბათს სინძიანის კიდევ ერთ ქალაქში კაშგარში დაიწყო მღელვარება. პოლიციამ მეჩეთთან შეკრებილი რამდენიმე ასეული ადამიანი დაშალა. სამშაბათს პროტესტმა ახალი ძალით იფეთქა. ქუჩაში გამოვიდნენ ხანშიშესული უიღური ქალები და თავიანთი დაპატიმრებული ნათესავების გათავისუფლებას მოითხოვდნენ. უცხოელი ჟურნალისტები შეესწრნენ იმ ფაქტს, როცა სამართალდამცავებმა მათ დაშლისაკენ მოუწოდეს, მაგრამ ისინი არ დაემორჩილნენ და ქუჩაში ჯდომას განაგრძობდნენ. მათ მხოლოდ მას შემდეგ დაიწყეს ნელ-ნელა დაშლა, ეტყობა შიშის გამო, როცა ჩინელმა სამართალდამცავებმა იქაურობას უცხოელი ჟურნალისტები მოაცილეს.

საპასუხო აქცია სამშაბათს ურუმჩიში მოაწყვეს იქ მცხოვრებმა ჩინელებმა. ისინიც ხელკეტებით და დანებით შეიარაღებულები გამოვიდნენ და აცხადებდნენ, რომ არავის დაანებებდნენ მათი ქონების ხელყოფას. ჩინელებს შორის გაისმის უიღურებზე საპასუხო თავდასხმის მოწოდებები. ჩინეთის ხელისუფლების ცნობით, კვირას, 5 ივლისს დაღუპულთა უმრავლესობა ხანის ეთნოსის წარმომადგენელია, ხოლო უიღურები ამტკიცებენ, რომ დაღუპულების 90 პროცენტი სწორედ მათი, სინძიანის ძირძველი მცხოვრებლები არიან. სიტუაციის გასაკონტროლებლად ჩინელი სამართალდამცავები წყლის ჭავლს და ცრემლსადენ გაზს იყენებენ.

ჩინეთის პროვინცია სინძიანი მუდმივი დაძაბულობის ერთ-ერთი კერაა ჩინეთში. იქაც, ისევე როგორც ტიბეტში, ჩინეთის ხელისუფლება ქვეყნის მთავარი ეთნოსის - ხანის წარმომადგენლების ჩასახლების პოლიტიკას ეწევა, რაც კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას. ამ რეგიონში, დაახლოებით, 11 მილიონი უიღური ცხოვრობს და ისინი იქ უმრავლესობას შეადგენენ. უიღურები მუსლიმები არიან. ეს ტერიტორია ჩინეთს საბოლოოდ 1955 წელს შეუერთდა, როდესაც უიღურების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა 400-წლიანი ბრძოლის შემდეგ დამარცხდა. მაშინ იქ 200 ათასი ჩინელი ცხოვრობდა, დღეს კი 6 მილიონამდე არიან. უიღურების ნაწილი დღემდე ცდილობს დამოუკიდებლობის მოპოვებას. ყოველთვის იყო ცალკეული ტერაქტები და რამდენიმე აჯანყებაც, მათ შორის მეოცე საუკუნის 90-იან წლებში. კერძოდ, ამისთვის იბრძვის "აღმოსავლეთ თურქესტანის ისლამური მოძრაობა", რომელსაც ჩინეთის ხელისუფლება ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს. ამ ორგანიზაციის ორი წევრი სულ ცოტა ხნის წინ - 2009 წლის აპრილში გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს იმ თავდასხმისთვის, რომელიც 2008 წლის აგვისტოში ქალაქ კაშგარში (სინძიან-უიგურის ავტონომიური რაიონი) პოლიციის შენობაზე მოაწყვეს. მაშინ ტერორისტების მიერ ნასროლ ხელყუმბარებს 17 პოლიციელი ემსხვერპლა. ჩინეთისთვის ამ ტერიტორიის შენარჩუნებას, პოლიტიკურის გარდა, ეკონომიკური მნიშვნელობაც აქვს. ეს რეგიონი მდიდარია ნავთობით, გაზით და ქვანახშირით. ადგილობრივები აცხადებენ, რომ ჩინეთში კერძო საუბარში ჩინეთის კომპარტიის კრიტიკაც კი დასაშვებია, მაგრამ უიღურების დამოუკიდებლობის მხარდაჭერის გამოხატვისთვის დაპატიმრება არავის ასცდება.

# მდიდარი ცოლები და სხვა...

## წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობები უკვე დასახელდა

ჟურნალმა forbes-მა ჰოლივუდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობების ყოველწლიური სია გამოაქვეყნა. საინტერესო და დამაინტრიგებელი ფაქტი ის არის, რომ პირველი და მეორე ადგილები ლამაზმანი ბრედ პიტის ყოფილმა და ახლანდელმა ცოლებმა გაინაწილეს.

ასე, რომ მიმდინარე წელს მრავალშვილიანმა დედამ და პლანეტის ერთ-ერთმა ყველაზე სექსუალურმა ქალბატონმა ანჯელინა ჯოლიმ, 27 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. მისი წლიური შემოსავლის დიდი ნაწილი ანჯელინას რეჟისორ ტიმურ ბეკმამბეტოვის ჰოლივუდურ ბლოკბასტერში - განსაკუთრებულად საშიში მონაწილეობისთვის აღებულმა ჰონორარმა მოუტანა. გარდა ამისა, საკმაოდ დიდი ანაზღაურება მიიღო თრილერ Salt-ში შესრულებული როლისთვის, რომელიც ეკრანებზე ჯერ არ გამოსულა.

ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობების სიაში მეორე ადგილი ჯენიფერ ენისტონმა დაიკავა, რომლის წლიურმა შემოსავალმა 25 მილიონი დოლარი შეადგინა. აქედან, მილიონების დიდი ნაწილი მან კომედია მარლი და მე -ს და The Baster-ში შესრულებული როლებისთვის მიიღო. გარდა ამისა, მსახიობი აგრძელებს დარიცხული ფულის მიღებას ტელეეთერით ტელესერიალ მეგობრები:-ს ტრანსილაციისთვის.

ჟურნალ forbes-ის რეიტინგის მესამე ადგილზე ლეგენდარული მერილ სტრიპი გავიდა - მიუზიკლ მამა მიას (Mamma Mia!) ეკრანიზაციაში შესრულებული მთავარი როლი, მას 24 მილიონი დოლარის გამომუშავებაში დაეხმარა. მაღალანაზრაურებადი მსახიობების სიაში შემდეგი სარა ჟესიკა პარკერია, რომელმაც სერიალ სექსი დიდ ქალაქში -ს კინოვერსიაში მონაწილეობისთვის 23 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. forbes-ის ჰოლივუდურ ხუთეულს კამერონ დიასი ამთავრებს - 2008 წლის ივნისიდან 2009 წლის ივლისამდე მისმა შემოსავალმა 20 მილიონი დოლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე მაღალანაზღაურებად მსახიობ მამაკაცად ჰარისონ ფორდია აღიარებული. ჟურნალ forbes-ის ინფორმაციით, გასულ წელს ფორდმა მხოლოდ ერთ ფილმ ინდიანა ჯონსი -ში მიიღო მონაწილეობა და მისმა შემოსავალმა 65 მილიონი დოლარი შეადგინა. წინასწარი შეთანხმების თანახმად, ფილმის გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი ფორდის, სტივენ სპილბერგის და ჯორჯ ლუკას შორის გადანაწილდა. ჰარისონ ფორდი XX საუკუნის მუწურულის და ახალი საუკუნის ასე თუ ისე ყველაზე ანაზღაურებად მსახიობად მიიჩნევა. მაყურებელი ფორდს იცნობს, როგორც კოსმიური პილოტი ჰენ სოლო - ვარსკვლავური ომების სერიიდან და ინდიანა ჯონსის თავგადასავალის მოყვარულები. ამავე წელს, ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე პოპულარულმა კომიკოსმა ადამ სენდლერმა 55 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, უილ სმიტმა და ედი მერფიმ, შესრულებული სამუშაოსათვის 45 და 50 მილიონი დოლარი მიიღეს. ყველაზე მდიდარი ვარსკვლავების ტოპ-ხუთეული ნიკოლას კეიჯმა დაასრულა, რომელმაც წლიური შემოსავალი 40 მილიონი დოლარი მიიღო.




# ლეგენდები და თანამედროვეები



ლეგენდარული "ლეზ ზეპელინის" არა ნაკლებ ლეგენდარული ბასისტი, ჯონ პოლ ჯონსი ახალ მუსიკალურ პროექტზე მუშაობს. ამჯერად მუსიკოსმა საკუთარი შემოქმედებისთვის გაცილებით თანამედროვე ჟღერადობის მიცემა გადაწყვიტა, ამიტომ თანამშრომლობისთვის "ნირვანას" ყოფილი დრამერი, ამჟამად კი "ფუ ფაიტერსის" ფრონტმენი დევიდ გროლი და "ქუინს ოფ სთოუნ ეიჯის" ლიდერი ჯოშ ომი მიიწვია.

ახალ პროექტზე მუშაობა ლოს ანჯელესის ერთ-ერთ ხმის ჩამწერ სტუდიაში მიმდინარეობს, თუმცა მის შესახებ ჯერჯერობით არც ისე ბევრია ცნობილი. პრესამ მის შესახებ ჯოშ ომის მეუღლის ინტერვიუდან შეიტყო, რომელმაც აღნიშნა, რომ მისი ქმარი ორ ცნობილ მუსიკოსთან ერთად რაღაც განსაკუთრებულ მუსიკაზე მუშაობს, რომელიც უკვე შეიძლება საოცრებად მოინათლოს. ეს ინფორმაცია ირიბად დაადასტურა ჯოშ ომმაც, რომელმაც პროექტის დასრულების თარიღაც ზაფხულის ბოლო თვე ახსენა.

"ლედ ზეპელინისა" და "ფუ ფაიტერსისთვის" ეს პირველი თანამშრომლობა არაა. ცნობილია, რომ დეივ გროლი "ზეპელინის" დიდი თაყვანისმცემელია. შარშან მან ჯონ პოლ ჯონსი და ჯიმი პეიჯი "ფუ ფაიტერსის" მიერ ლონდონის "უემბლიზე" გამართულ კონცერტზეც მიიწვია და ამ გენიალურ მუსიკოსებთან ერთად დაუკრა. 86 ათასიანი აუდიტორიის წინაშე მათ ცნობილი ჰიტები Rock and Roll და Ramble On შეასრულეს. მათი გამოსვლის დასრულების შემდეგ კი გროლმა მიკროფონში განაცხადა, რომ ეს მის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღეა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ლონდონის O2 Arena-ზე 2007 წლის დეკემბერში გამართული კონცერტის შემდეგ "ლედ ზეპელინის" წევრებისთვის ეს პირველი საჯარო გამოსვლა იყო. "ფუ ფაიტერსის" კონცერტზე გამოსვლის შემდეგ კი ჯონ პოლ ჯონსმა განაცხადა, რომ "ზეპელინის" კონცერტი 2009 წლის შემოდგომამდე დაგეგმილი არ არის.

ლეგენდარული მუსიკოსისა და თანამედროვე ჯგუფის კიდევ ერთი თანამშრომლობა იგეგმება ნიუ იორკში: "ბისტი ბოისმა" გადაწყვიტა, ახალი ალბომის ერთ-ერთ კომპოზიციაში ბობ დილანის რამდენიმე წლის წინანდელი რადიო გამოსვლის ნაწყვეტი გამოიყენოს. საქმე ისაა, რომ ამ ჩანაწერში ბობ დილანი სწორედ რომ "ბისტი ბოისის" შესახებ საუბრობს და ჯგუფის წევრებს და მათ მუსიკას აქებს კიდეც. აღნიშნული კომპოზიცია ჯგუფის ახალ ალბომ Hot Sauce Committee Part 2-ის ტრეკ ლისტშია ჩართული, აღნიშნული ალბომი კი გამოსასვლელად გამზადებული Hot Sauce Committee Part 1-ის ერთგვარი გაგრძელება იქნება. ამ ორმაგი ალბომის პირველი ნაწილი 15 სექტემბერს გამოვა, მასში 17 ახალი კომპოზიციაა გაერთიანებული.



## აფიშა

**8 ივლისი**

**არტ-გენი**
**ვაკის პარკი - კლუბი 33ა**
ანსამბლი ჩვენებურები - კლიპის პრეზენტაცია
დასაწყისი: 20.00

**კინო**

**ამირანი**
ტრანსფორმერები 2
დასაწყისი: 12:30; 16:00; 19:30; 22:15;
მფრინავი სახლი
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00
შეთავაზება
დასაწყისი: 20:00; 22.00;

**გამოფენები**

**ხელოვნების მუზეუმი**
პიკასო საქართველოში

**ქარვასლა**
ტექსტილი ინტერიერში
ქეთი ფერაძის, თამარ ბაქრაძის და ირინა ლავრინეკოს ნამუშევრები

**შარდენი**
თანამედროვე ტიხრული მინანქრის ხელოვნების გამოფენა

ორი დღის წინ ქართულ ფერწერულ სკოლას უმნიშვნელოვანესი პიროვნება და ყველასთვის ძვირფასი ადამიანი **დიმიტრი ხახუტაშვილი** გამოაკლდა. ფერმწერი, გრაფიკოსი, რომელიც ერთნაირად წარმატებით მუშაობდა მისთვის პარალელურ ჟანრებში - წიგნის გაფორმების, ილუსტრაციის, ქანდაკების, მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნებისა და გობელენის მედიებში.

დიმიტრი ხახუტაშვილმა, უკვე როგორც დამოუკიდებელმა მხატვარმა გამოფენებში მონაწილეობა 1954 წლიდან დაიწყო. მანამდე, 1943-53 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. ფერწერის ფაკულტეტზე. სხვადასხვა დროს მისი პედაგოგები იყვნენ: კორნელი სანაძე, მოსე თოიძე, აპოლონ ქუთათელაძე, ვასილ შუხაევი, სერგო ქობულაძე. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი გახდა 1957 წლიდან. ამ პერიოდიდან დღემდე არაერთი ჯგუფური და პერსონალური გამოფენის ავტორია. ჰქონდა არაერთი მნიშვნელოვანი საკავშირო და რესპუბლიკური გამოფენა. მისი ნამუშევრები დაცულია თსსა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდში, ნ. დოჯის საბჭოთა ნონკონფორმიზმის მუზეუმში (აშშ), ინგლისის, საქართველოსა და სხვა ქვეყნების კერძო კოლექციებში. იყო საქართველოს სახალხო მხატვარი, ჰუმანიტარული აკადემიის ნამდვილი წევრი.

არაერთ დასამახსოვრებელ და მნიშვნელოვან ნამუშევრებს შორის მაინც გამოირჩევა: ფერწერა - "უხუცესი ქართველი მხატვრები"(1953), ჭიდაობა (1957), "ნაშვილები" (1967), სერია "ქართლის ცხოვრება" (1976-97), "კიდევაც დაიზრდებიან" (1986), "ქსნის ციხის ლეგენდა"(1987), გააფორმა გამომცემლობა "ნაკადულისა" და "საბჭოთა საქართველოს"100-მდე წიგნი; თანამშრომლობდა ჟურნალებთან "დროშა", "პიონერი", "დილა".

სამხატვრო აკადემიისთვის საამაყოა, რომ ბატონი დიმიტრი 1960 წლიდან ფერწერის კათედრის გამგე და პროფესორი გახლდათ. იყო ქართველ მხატვართა არაერთი თაობის აღმზრდელი.

ვუსამძიმრებთ გარდაცვლილის ოჯახს, კოლეგებსა და მისი ხელოვნების თაყვანისმცემლებს.

*აპ.ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია*

# კონკურსი ახალბედა მოდელებისთვის

### Elit Model Look Georgia მორიგ წარმატებას ელის

ეკა ჩიქვაიძე



წელს უკვე მესამედ და სიახლეებით, Ic Model Management-ი პრესტიჟულ პროფესიულ სამოდელო კონკურსს - Elit Model Look Georgia 2009-ს ჩაატარებს. ქასთინგის მეშვეობით უკვე შერჩეულია 15 საუკეთესო დამწყები მოდელი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, თუ ქალაქიდან. გოგონებმა, რომელთა ასაკი მაქსიმუმ 17 წელია, უკვე გაიარეს წინასაკონკურსო მოსამზადებელი ეტაპი: სამდღიანი ინტენსიური ფოტოგადაღება კიკალა სტუდიოში. მათი ფოტოები სტუდია Pixel-ის მიერ დამზადებულ ახალ ვებგვერდზე www.elit-modellook.ge განთავსდება, სადაც ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება გამოავლინოს ყველაზე ფოტოგენური მოდელი. გარდა ამისა, საზოგადოებას საშუალება მიეცემა sms-ის მეშვეობით ხალხის რჩეული დაასახელოს.

კონკურსის ფინალურ ეტაპს, რომელიც 31 ივლისს ტელეკომპანია იმედის დილის ეთერში ჩატარდება, თავად Elit Model Look-ის პრეზიდენტი ალან ატია დაესწრება და გამარჯვებულებსაც დაასახელებს. მისი დაინტერესება საქართველოს მიმართ Elit Model Look 2007 და 2008 წლების გამარჯვებულების თამთა შედანიასა და ანა კოვაჩის საერთაშორისო წარმატებამ გამოიწვია, რომლებიც უკვე თანამშრომლობენ Elit Model Management-თან და წარმატებით აგრძელებენ საერთაშორისო სამოდელო საქმიანობას. წლევანდელი გამარჯვებული Elit Model Look 2009-ის მსოფლიო ფინალზე გაემგზავრება, რომელიც 18 ოქტომბერს კვალავ ჩინეთის ტროპიკულ კუნძულზე, ქალაქ სანიაში ჩატარდება.

კონკურსის დეტალების შესახებ გუშინ კომპლექში კრუიზი გამართულ პრესკონფერენციაზე იმიჯ ცენტრის ხელმძღვანელმა ია კიწმარიშვილმა და დიზაინერმა ბიჭოლამ ისაუბრეს და შერჩეულ 15 გოგონასთან ერთად მინი დეფილეც მოაწყვეს. ეს ჩვენთვის დიდი პატივია და ვიმედოვნებ, რომ წელსაც ისეთ გოგოს ავარჩევთ, რომელსაც არ გაუჭირდება საერთაშორისო ასპარეზზე ასახელოს ჩვენი ქვეყანა. ერთი თვის განმავლობაში ეს გოგონები სპეციალურ მომზადებას გაივლიან, რომ წარმატებულად წარსდგნენ ფინალურ ღონისძიებაზე , - ამბობს ია კიწმარიშვილი.

წლევანდელი ღონისძიების ძირითადი სულისჩამდგმელი ახალბედა ქართველი დიზაინერი - ბიჭოლა იქნება, რომელიც დასკვნითი გამოსვლის კაბებს და აქსესუარებს დაამზადებს. სამი წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა კონკურსის მონაწილეების ჩაცმულობაზე სპეციალურად დიზაინერი იზრუნებს და არა რომელიმე მაღაზია, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა. ამ წელს მე პირველად ჩავერთე ამ პროექტში და სრულიად ახალ კოლექციას წარმოვადგენ. წინა კოლექციისგან განსხვავებით ძალიან პასტელური ფერები იქნება და ძირითადი აქცენტი კონსტრუქციაზე გაკეთდება. წელს ძალიან კარგი ნაკადია გოგონების. მე ყველასთან მომიწია უკვე მუშაობა და თითოეულ მათგანს გამარჯვების დიდი შანსი აქვს , - აღნიშნა დიზაინერმა ბიჭოლამ . სპეციალურად მოდელებისთვის დამზადებული ახალი კოლექცია კონკურსის დამთავრების შემდეგ Fashion House Mari&Zenka-ში გადაინაცვლებს და გაიყიდება.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ დაგეგმილია Elite Fashion Show, კომპლექს კრუიზში . შოუ დახურული იქნება და მას მხოლოდ ვიწრო წრე - საქართველოს ელიტარული საზოგადოება დაესწრება.

შეგახსენებთ, რომ Elit Model Look-ი ხუთივე კონტინენტის 50-ზე მეტ ქვეყანაში ყოველწლიურად იმართება და მისი მიზანია მსოფლიო მასშტაბით მომავალი ტოპ მოდელების აღმოჩენა. ამ კონკურსის დამსახურებაა ისეთი ცნობილი ვარსკვლავების აღმოჩენა, როგორებიც არიან: ლინდა ევანგელისტა, სინდი კროუფორდი, სტეფანი სეიმური, კლაუდია შიფერი, არენ მალდერი და სხვები. ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნიდან კონკურსში 500 000 გოგონა მონაწილეობს და მხოლოდ 70 ფინალისტი ხდება საერთაშორისო კონკურსის მონაწილე. მსოფლიო ფინალის გამარჯვებულებს ელით სამოდელო კონტრაქტი საერთაშორისო სააგენტო Elit Model Management-თან და 325 000 დოლარის საპრიზო ფონდი.

# იაპონელი მწერლის მემკვიდრეობა



ტოკიოს აუქციონის სახლმა Meiji Kotenkai ორი დღის წინ მორიგი აუქციონი მოაწყო. არაფერი იქნებოდა აღსანიშნავი, მაგრამ გასაყიდად სახელგანთქმული იაპონელი მწერლის, იუკიო მიშიმას ორი წერილი და რამდენიმე ფოტო გამოიტანეს. მიშიმასადმი ინტერესი არ ცხრება, არ ცხრება ზუსტად 1970 წელიდან დღემდე. ეს იმიტომ, რომ ამ წელს მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. თუმცა, თვითმკვლელობაც არის და თვითმკვლელობაც... მან ხომ ხარაკირი გაიკეთა, ეს იყო საჯარო და საშინელი თვითმკვლელობა. მიშიმა თავისთავად კარგი და საინტერესო მწერალია, მაგრამ ის ხომ იმ მცირეთა რიგებში მოხვდა, ვისი ბიოგრაფიაც, კონკრეტულად კი სიკვდილი ერთი მხრივ ლეგენდარულობას მატებს მისსავე სახელს, მეორე მხრივ კი უსაზღვრო პოპულარობას. მიშიმა შესაძლოა ბევრს არ წაუკითავს, მაგრამ მის შესახებ თითქმის ყველას სმენია. ამ რანგის პოპულარობას შესაბამისი ინტერესიც ახლავს, ინტერესი, რომელიც მის დღიურებს აუქციონზე ფასს ადებს, უფრო სწორად, მაღალ ფასს ადებს.

AFR-ი გვამცნობს, რომ აუქციონზე გატანილი ქაღალდები აშშ-ში აღმოაჩინეს და იაპონიაში ისინი ბუკინისტმა სეგერუ ნაცუმემ ჩაიტანა.

ეს წერილებია და მათი ადრესატი მწერლის ამერიკელი მეგობარი იან ფონ ადლმანი, სამხატვრო მუზეუმის დირექტორია. ორივე წერილში მიშიმა წმინდა სებასტიანზე წერს. ის ადრესატს მადლობას უხდის საჩუქრისათვის, სავარაუდოდ, წიგნისათვის, რომელიც ამ მოწამეს ეძღვნებოდა და წერილთან ერთად მას რამდენიმე შავ-თეთრ ფოტოსაც უგზავნის. მათზე ის აღბეჭდილია როგორც წმინდა სებასტიანი: ხეზე მიბმული და ისრებით დაჭრილი.

აუქციონზე, რომლის შედეგებიც მოგვიანებით გაცხადდება, მიშიმას სხვა ფოტოებიც იყო გამოტანილი. მათი უმეტესი ნაწილი მოთხრობა პატრიოტიზმის" ამავე სახელწოდების ფილმის გადასაღებ მოედანზეა გადაღებული. ერთ კადრში მწერალი, რომელიც ამ სურათში მთავარ როლს ასრულებდა, ხარაკირს იკეთებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიშიმამ სიცოცხლე 1970 წელს სწორედ ამ ფორმით დაასრულა და ეს მოხდა მარცხისთვის განწირული სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ.

იუკიო მიშიმას პატრიოტიზმის" საათნახევრიანი ფილმის ნეგატივი აღმოაჩინეს ყუთში, რომელიც საწყობში ინახებოდა. მწერლის ქონების დიდი ნაწილი სწორედ იქ აღმოაჩინეს. აქამდე მიაჩნდათ, რომ ამ კინოფილმის ყველა ასლი, მიშიმას ქვრივის თხოვნით, განადგურებული იყო. ამის შესახებ ინფორმაცია The New York times-მა გაავრცელა.

მიშიმამ შეასრულა მთავარი როლი ფილმში, რომლის რეჟისორიც თავად იყო. ის მან გადაიღო საკუთარი, საკმაოდ გახმაურებული მოთხრობის მიხედვით, რომელიც ახალგაზრდა იაპონელი ოფიცრის თვითმკვლელობას ეძღვნება. მოკლემეტრაჟიან ფილმში არ არის არც ერთი რეპლიკა. მთელი მოქმედება იქ რიჰარდ ვაგნერის მუსიკის ფონზე ვითარდება. ამ ფილმის ნეგატივები კარგად იყო შენახული და მისი ნახვის სურვილიც ბევრს გაუჩნდა. მოგვიანებით პატრიოტიზმი", იგივე იუკოკუ" DVD -ზეც გამოუშვეს.

მოთხრობის, სახელწოდებით პატრიოტიზმი", გმირი უარს აცხადებს 1936 წლის სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობაზე და მისთვის ერთადერთი გამოსავალი ხარაკირის გაკეთება აღმოჩნდა. მთავარი გმირის კვალდაკვალ, თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს მისი ახალგაზრდა ცოლიც. მიშიმამ ეს მოთხრობა 1961 წელს დაწერა, ხოლო ფილმი 1966 წელს გადაიღო. ბევრს მიაჩნია, რომ მწერალმა პატრიოტიზმში", ისევე როგორც რამდენიმე სხვა ნაწარმოებში, საკუთარი სიკვდილი აღწერა.

XX საუკუნის ერთ-ერთმა ბრწყინვალე იაპონელმა მწერელმა - იუკიო მიშიმამ ათეულობით წიგნი დაწერა. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურული მოღვაწეობის პარალელურად, ის პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ეს გასაკვირი არ იყო, რადგანაც ის სახელმწიფო მოხელის, ადზუს ხირაოკას ოჯახში დაიბადა. მისი ნამდვილი სახელი იყო - კიმიტაკე ხირაოკა. მან შექმნა ახალგაზრდული სამხედრო-პატრიოტული საზოგადოება, რომლის ძალითაც ის სამხედრო გადატრიალების მოწყობას შეეცადა. მისმა ინიციატივამ კრახი განიცადა, რის შემდეგაც მან სიცოცხლე 1970 წლის 25 ნოემბერს თვითმკვლელობით დაასრულა. 1988 წელს მისი სახელობის პრემიაც კი დაწესდა.

# რეგრესი სამშობლოში დაბრუნების წინ

## "დინამო" და "ვიტ ჯორჯია" შეკრებას ამთავრებენ


*დინამომ რეგიონალლიგის ესენს ვერ მოუგო*

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "დინამომ", რომელიც ორი კვირით გერმანიაში იყო, დღეს დაასრულა შეკრება და სამშობლოში დაბრუნდა. ძნელი სათქმელია, სპორტული თვალსაზრისით რამდენად ნაყოფიერი გამოდგა ეს შეკრება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი გუნდის მიერ ჩატარებული სპარინგმატჩები ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა. პირველი ამხანაგური მატჩიდან მოყოლებული, რომელიც კახა კაჭარავას გუნდმა რეგიონალლიგის "ზელბიცს" 3:1 მოუგო, საქართველოს ვიცე-ჩემპიონი, შედეგების თვალსაზრისით მაინც, თვალსაჩინო რეგრესს განიცდიდა. მეორე ტესტში, რომელშიც ჩვენებს ისევ რეგიონალლიგელი მეტოქე - "ჰოსნეკი" ჰყავდა, კვლავ "დინამომ" იმარჯვა, მაგრამ უფრო მოკრძალებული ანგარიშით - 2:1. მესამე ტესტი კი ჩვენებმა აშკარად ჩააგდეს. გუნდი, რომელიც 6 ივლისს შეხვდა "დინამოს", გასულ სეზონში გერმანიის მესამე ლიგაში გადასვლას ლამობდა, მაგრამ არ გამოუვიდა და რეგიონალლიგაში დარჩა. საუბარია კასელის "ესენზე", რომელთან მატჩშიც საქართველოს ვიცეჩემპიონი და თასის მფლობელი ბოლო წუთზე გადაურჩა მარცხს. თუმცა, ასეთ მეტოქესთან თუნდაც ფრე მატჩებს თუ არა ჩვენს გუნდს ღირსებას, ამის განსჯა თქვენთვის მომინდია. მატჩი 2:2 დასრულდა და კაჭარავას გუნდს ორჯერ მოუხდა მდევრის როლში ყოფნა. პირველ შემთხვევაში ვაწაძემ 28-ე წუთზე აღადგინა წინასწორობა. მეორედ კი სიხარულიძის გოლს მსაჯის საფინალო სასტვენი მოჰყვა.

უცხოური შეკრებების მთავარი ხიბლი ძლიერ გუნდებთან თამაშის პერსპექტივა და საერთაშორისო გამოცდილების მიღებაა. მაგალითად, "ზესტაფონი", რომელმაც სლოვენიური შეკრების შემდეგ ევროპის ლიგაში შთამბეჭდავი სტარტი აიღო, ტესტმატჩებში ისეთ გუნდებს დაუპირისპირდა, როგორებიც არიან ვარშავის "პოლონია" და სლოვენიის "მარიბორი". ძლიერ მეტოქეებთან ცდის ძალებს "ვიტ ჯორჯიაც". "დინამოს" მეტოქეთა ძალას თუ გავითვალისწინებთ, ამ ძვირად ღირებული უცხოური შეკრების ხარჯები წყალში გადაყრილადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. გუნდს თავისუფლად შეეძლო გაცილებით იაფად ბაკურიანში მომზადებულიყო და არა "ესენს" ან "ზელბიცს", არამედ უფრო ძლიერ გუნდებს - აგარის "მეშაქრეს" ან "ფკ ბაკურიანს" გაჯიბრებოდა. ამ შედეგებზე საუბრისას არც ის გამოდგება გამამართლებელ საბუთად, რომ ჩვენი გუნდი ორჯერადი ვარჯიშით გამოწვეული დიდი ფიზიკური დატვირთვის ფონზე ატარებდა სპარინგებს. ახლა მოსამზადებელი პერიოდია და "დინამოს" ყველა მეტოქე ანალოგიურ სამზადისშია.

16 ივლისს "დინამოს" ეროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის სასტარტო მატჩის ჩატარება მოუწევს ლიეპაის "მეტალურგსთან". ახლა ლატვიაში გახურებული ჩემპიონატია და ეს გუნდი ფორმის პიკშია - ერთპიროვნულად ლიდერობს გათამაშებას.

წარუმატებელი სპარინგი ჩაატარა "ვიტ ჯორჯიამაც", რომელიც უკრაინაშია და სამშობლოში ხვალ დაბრუნდება. თუმცა, ვეტერინარებს გაცილებით სერიოზული მეტოქე ჰყავდათ - უკრაინის უმაღლესი ლიგის ბინადარი სიმფეროპოლის "ტავრია". ჩენი გუნდი მინიმალური სხვაობით - 2:3 დამარცხდა. თუმცა, მატჩის მე-60 წუთისთვის, როცა ანგარიში 2:2 იყო, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ თითქმის მთელი შემადგენლობა (მოედნის 9 მოთამაშე) გამოცვალა და ბრძოლაში დუბლი ჩართო. სწორედ ამის შემდეგ მოიპოვა ტავრიამ გადამწყვეტი უპირატესობა და გამარჯვების გოლი გაიტანა.

ამ მატჩში ვეტერინართაგან გოლები გაიტანეს ბერიაშვილმა და დათუნაიშვილმა.

დღეს "ვიტ ჯორჯია" დასკვნით ტესტმატჩს ჩაატარებს, რომელშიც ჩვენი მეტოქე იქნება უკრაინის პირველი ლიგის წარმომადგენელი "კრიმტეპლიცა", ხვალ კი გუნდი სამშობლოში დაბრუნდება და თბილისში გააგრძელებს მზადებას ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის, რომლის პირველ მატჩში, 15 ივლისს, მესხის სახელობის არენაზე, სლოვენიის მარიბორს უმასპინძლებს.

# მკვლელი ფეხბურთელი

თეა დოლიძე

კოლუმბიაში ფეხბურთელმა საკუთარი გულშემატკივარი მოკლა. ატლეტიკო ხუნიორის ნახევარმცველის ხავიერ ფლორესის გაღიზიანება წაგებული თამაშის გამო დაცინვამ გამოიწვია. კოლუმბიის საპორტო ქალაქ ბარანკილის საფეხბურთო კლუბის ნახევარმცველი ქუჩაში 27 წლის გულშემატკივარს სასტიკად გაუსწორდა.

2009 წლის ივნისში "ატლეტიკო ხუნიორმა" ფინალში "აპერტურასთან" წააგო. თვითმხილველთა განცხადებით, სწორედ ამ თამაშთან დაკავშირებით მოუვიდა შელაპარაკება ფეხბურთელს ვინმე ისრაელ კასტილოსთან. გულშემატკივარმა ფლორესს უვარგისი ფეხბურთელი უწოდა. პასუხად კოლუმბიელმა საკუთარი პისტოლეტიდან ტყვია დაახალა, მერე კი საკუთარი ავტომობილით შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. თუმცა, მალე სინდისის ქენჯნამ შეაწუხა და პოლიციას ჩაბარდა.

ფეხბურთთან დაკავშირებული კრიმინალური შემთხვევა კოლუმბიისთვის პირველი როდია. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე აშშ-ის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში, რომელიც 2:1 იანკების გამარჯვებით დასრულდა (კოლუმბია ჯგუფურ ეტაპს გამოეთიშა), კოლუმბიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი საკუთარმა გულშემატკივარმა უმბერტო მუნოსმა ავტოგოლის გამო მაშინ გამოასალმა სიცოცხლეს, როდესაც ესკობარი მეგობარ გოგოსთან ერთად მედელინის ერთ-ერთ ბარში განმარტოებულიყო. იმ მკვლელობის სისასტიკეზე ესკობარისთვის ნასროლი 16 ტყვია მეტყველებს. ყოველ გასროლილ ტყვიას ფონად გასდევდა გულშემატკივრის ყვირილი: გოოოოოლ!

### "ბორჯღალოსნების" მეჩვიდმეტე ადგილს აშშ-მ შეუტია

ორშაბათს IRB-ს მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში ბორჯღალოსნები კვლავ მეჩვიდმეტე საფეხურზე არიან, თუმცა ქართველთა პოზიციებს აშშ-ს ნაკრებმა შეუტია.

გასულ კვირაში ამერიკელებმა 2011 წლის მსოფლიო თასის ჩრდილო ამერიკის ზონის შესარჩევ რაუნდში კანადას 12:6 სძლიეს, რისი წყალობითაც საქართველოს ეროვნულ გუნდთან ჩამორჩენა 0.25 ქულამდე შეამცირა.

### IRB-ს რეიტინგი 6 ივლისისთვის

| | |
|---|---|
| 1.ახალი ზელანდია | 90.68 |
| 2.სამხრეთ აფრიკა | 89.45 |
| 3.ავსტრალია | 86.32 |
| 4.ირლანდია | 83.27 |
| 5.საფრანგეთი | 81.48 |
| 6.არგენტინა | 81.29 |
| 7.ინგლისი | 81.23 |
| 8.უელსი | 80.74 |
| 9.ფიჯი | 76.52 |
| 10.შოტლანდია | 75.23 |
| 11.სამოა | 73.48 |
| 12.იტალია | 71.23 |
| 13.კანადა | 69.45 |
| 14.იაპონია | 68.37 |
| 15.ტონგა | 67.53 |
| 16.რუსეთი | 67.17 |
| 17.საქართველო | 66.85 |
| 18.აშშ | 66.60 |
| 19.რუმინეთი | 64.85 |
| 20.პორტუგალია | 62.16 |
| 21.ურუგვაი | 61.97 |
| 22.ესპანეთი | 59.01 |
| 23.ჩილე | 57.95 |
| 24.ს.კორეა | 57.90 |
| 25.ნამიბია | 56.60 |
| 26.გერმანია | 55.35 |
| 27.ტუნისი | 55.28 |
| 28.ყაზახეთი | 55.12 |
| 29.ბრაზილია | 54.97 |
| 30.პოლონეთი | 54.42 |

### ელერდაისმა ხიზანიშვილი ავსტრიაში წაიყვანა

სულ ცოტა ხნის წინ ამბობდნენ, რომ საქართველოს ნაკრების მცველი ზურაბ ხიზანიშვილი ბლექბერნიდან თურქულ გალათასარაიში გადავიდოდა. ეს ტრანსფერი თითქმის მოგვარებული იყო, თუმცა შემდეგ, გაურკვეველი მიზეზების გამო, ჩაიშალა. ახლა კი ირკვევა, რომ მიზეზი მეტად მარტივია. უბრალოდ, ბლექბერნის მწვრთნელმა სემ ელერდაისმა ხიზანიშვილის გაშვება არ ისურვა, რაზეც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ზურა იმ 24 ფეხბურთელს შორის მოხვდა, რომლებიც ელერდაისმა ავსტრიულ შეკრებაზე წაიყვანა და რომლებიც მომავალ სეზონში გუნდის მთავარი საყრდენი არიან.

### ქართველთა "რუბინმა" ლიდერობა დაიბრუნა

რუსეთის პრემიერლიგის მე-12 ტურის გამოტოვებულ მატჩში ყაზანის რუბინმა მოსკოვის ოლქის ხიმკის 3:2 სძლია და 24 ქულით ლიდერობა დაიბრუნა.

ყაზანელთა რიგებში ლაშა სალუქვაძემ შეუცვლელად ითამაშა, დავით კვირკველია კი სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარა.

### სპორტის სფერო ახალი კანონით დარეგულირდება

სპორტის შესახებ კანონპროექტი პარლამენტის სპორტის კომიტეტთან არსებულ სპორტის განვითარების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოში მუშავდება.

კანონპროექტი მიზნად ისახავს ძირეულ ცვლილებებს სპორტის სფეროში. მოქმედი კანონმდებლობისგან განსხვავებით, მნიშვნელოვანი პუნქტებია დამატებული ბავშვთა სპორტზე, აგრეთვე ფედერაციებთან დაკავშირებით და ა.შ.

კანონპროექტით შესაძლებელი ხდება საქართველოს განათლების სისტემის ფარგლებში შეიქმნას სპორტული პროფილის სპეციალიზებული საჯარო სკოლები, სადაც, ზოგადსაგანმანთლებლო საგნებთან ერთად, დიდი ყურადღება დაეთმობა ბავშვთა და მოზარდთა სისტემატურ მეცადინეობას სპორტის ამა თუ იმ სახეობაში.

ამას გარდა, კანონპროექტით ორგანიზაციების ადმინისტრაციები ვალდებული იქნებიან, სამუშაო პროცესში თუ მის შემდგომ, ხელი შეუწყონ თანამშრომლების სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვას.

პარლამენტში კანონპროექტის მხოლოდ სამუშაო ვარიანტი არსებობს. ამიტომ მისი ინიცირება ჯერ არ მომხდარა.

## დემეტრაძე "ერგოტელისში" გააგრძელებს კარიერას

32 წლის ქართველი ფორვარდი გიორგი დემეტრაძე, რომელმაც კარიერის განმავლობაში არაერთ ქვეყანაში იმოგზაურა, სავარაუდოდ, კარიერას გააგრძელებს ბერძნულ ერგოტელისში სადაც უკვე ირიცხება კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი გიორგი შაშიაშვილი

ბერძნული კლუბის მესვეურები დემეტრაძით სწორედ შაშიაშვილმა დააინტერესა. ბერძნული პრესის ცნობით, ქართველი თავდამსხმელი ქალაქ ირაკლიონს უახლოეს დღეებში ეწვევა და, სავარაუდოდ, ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

## პარიზელები მცველით გაძლიერდნენ

ფრანგულმა პსჟ-მ შეიძინა მცველი კრისტოფ ჟაიე, რომელიც გასულ სეზონში ლორიანში გამოდიოდა.

25 წლის ფეხბურთელმა პარიზელებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ტრანსფერის ღირებულებამ 2,5 მილიონი ევრო შეადგინა.

პსჟ-ში გადასვლა ჩემს კარიერაში წინ გადადგმული ნაბიჯია. ეს საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია, რომლის რიგებში თავის გამოჩენისა და ტიტულების მოპოვების იმედი მაქვს, - განაცხადა ჟაიემ.

## კაპიტნობა ამბროზინის ანდეს

მილანის ბრაზილიელი მთავარი მწვრთნელის ლეონარდოს განცხადებით, პაოლო მალდინის გუნდიდან წასვლის შემდეგ კაპიტნის სამკლაურს მასიმო ამბროზინი ჩაიბარებს.

მიხარია, რომ ამბროზინი ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე დავითანხმეთ. მასთან ერთად გუნდში ფრანკო ბარეზის, დემეტრიო ალბერტინისა და პაოლო მალდინის სული რჩება. გუნდის კაპიტანი სწორედ ამბროზინი იქნება, - განაცხადა ლეონარდომ.

ლეონარდომ ისიც თქვა, რომ არ შემცდარა, როდესაც მილანის მწვრთნელობაზე თანხმობა განაცხადა: ჩემი დანიშვნის შემდეგ თვეზე მეტი გავიდა და ამ პერიოდში კიდევ უფრო დავრწმუნდი საკუთარი არჩევანის სისწორეში. განვლილი დროის განმავლობაში ბევრი რამ გავიგე. როცა მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი იყო, მუდამ მის გვერდით ვიყავი და მისი ადგილის დაკავება მეამაყება .

## ბენაიუნი "ლივერპულში" რჩება

ისრაელის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის შემტევმა ნახევარმცველმა იოსი ბენაიუნმა ინგლისის ლივერპულთან ხელშეკრულება ერთი წლით გაახანგრძლივა და მერსისაიდელთა ღირსებას 2012 წლამდე დაიცავს.

ჩვენს კლუბს მომავლის გარანტია სჭირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთ ფეხბურთელს, რომლებიც აქ არიან, მომავალის გარანტია უნდა მივცეთ. მოხარული ვართ, რომ ამის გაკეთება შეგვიძლია, - განაცხადა ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა.

თვალის
მიკროქირურგიის
ჯავრიშვილის
კლინიკა "ოფთალმიჯი"
სიახლე
ოფთალმოქირურგიული ტექნიკის
უკანასკნელი მიღწევა -
ფაკოემულსიფიკატორი "INFINITI"
კატარაქტის უნაკერო ქირურგიის
ახალი ერა საქართველოში
რქოვანის განაკვეთი მხოლოდ 2.2 მმ!!!
ტელეფონი: 30 53 53; 30 10 80

# ფაჩულიას ბედი თვის ბოლომდე გაირკვევა



*ზაზა ფაჩულია კლუბს იცვლის*

NBA-ში სატრანსფერო პერიოდი გაიხსნა. 1 ივლისიდან თავისუფალი აგენტების დრო დადგა. ზაზა ფაჩულიას დაუმთავრდა კონტრაქტი ატლანტა ჰოუქსთან და ახლა ის თავისუფალი აგენტის სტატუსით ახალი კონტრაქტის გაფორმებას ცდილობს. რომელ კლუბთან გაფორმდება ეს კონტრაქტი, ჯერ უცნობია.

ამერიკულ მედიაში არაერთი ვარაუდი გამოითქვა. ამჯერად სწორედ ამ ვარიანტებზე მოგითხრობთ. თავად ზაზამ განაცხადა, რომ ატლანტაში დარჩენა სურს. მას ისიც აქვს ნათქვამი, რომ კარიერის ბოლომდე ითამაშებდა ჯორჯიულ კლუბში, თუმცა არსებობს გარკვეული ფინანსური საკითხები, რომელთა მოგვარება არც ისე იოლია. ახლა ატლანტას კალათბურთელებიდან თავისუფალი აგენტის სტატუსი, ზაზა ფაჩულიასთან ერთად, კიდევ რამდენიმე კალათბურთელს აქვს. მათ შორისაა მაიკ ბიბიც, რომლის შენარჩუნება ჯორჯიელთათვის პრიორიტეტია. ატლანტას ევროპიდან ავსტრალიელი ცენტრის დავიდ ანდერსონის გადაყვანა სურს, რომლისთვისაც გაცილებით ნაკლები ხელფასის გადახდა მოუწევს, ვიდრე ფაჩულიას უნდა გადაუხადოს (თუ ახალი კონტრაქტი გაფორმდა). სწორედ ფაჩულიას შემცვლელად მოიაზრება ანდერსონი. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ზაზა ატლანტას დატოვებს.

ქართველ ცენტრს რამდენიმე კლუბში შეუძლია კარიერის გაგრძელება, თანაც ისეთი კონტრაქტით, რომლის ფინანსური პირობები, სავარაუდოდ, უკეთესიც იქნება, ვიდრე ის, რომელიც მას ატლანტაში ჰქონდა. ერთ-ერთი ვარიანტია სან ანტონიო სპურსი . ამ გუნდს სჭირდება ცენტრი და ფულიც აქვს ასეთი კალათბურთელის შესაძენად. კიდევ ერთი ვარიანტი ჰიუსტონ როკეტსია . საქმე ის არის, რომ ჰიუსტონელთა ჩინელი ცენტრი იაო მინი ტრავმებმა გააწამა. ჩინელ ვარსკვლავს საქმე ისე გაურთულდა, რომ ერთხანს იმასაც ამბობდნენ, კალათბურთისთვის თავის დანებება მოუწევსო. მინმა ტრავმა რომ მოიშუშოს კიდეც, ჰიუსტონს სჭირდება ისეთი კალათბურთელი, რომელიც ჩინელს შეცვლის. სწორედ ასეთად მიიჩნევს ჰიუსტონური გუნდის ხელმძღვანელობა ფაჩულიას.

მოკლედ, ქართველი ცენტრის ბედი თვის ბოლომდე გაირკვევა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალ სეზონში ზაზა ატლანტაში აღარ ითამაშებს.

# უსტიაშვილმა შემადგენლობა დაასახელა

კალათბურთის ქართველმა გულშემატკივარმა კარგად იცის, რომ ევროპის ჩემპიონატის (B დივიზიონი) საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები A ჯგუფში მოხვდა პორტუგალიის, სლოვაკეთის, ლუქსემბურგისა და შვედეთის ნაკრებებთან ერთად. სულ ჩემპიონატში 19 გუნდი მონაწილეობს და ელიტური A დივიზიონის საგზურს ორი საუკეთესო, ანუ ფინალში გასული გუნდები მოიპოვებენ.

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი 16-26 ივლისს გაიმართება. თავდაპირველად ცნობილი იყო, რომ უსტიაშვილი ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელ 12 კალათბურთელს მოგვიანებით დაასახელებდა, თუმცა ტრავმების გამო შემადგენლობა უკვე გარკვეულია. ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა უკვე შეკრიბა ნაკრები.

შესარჩევ ციკლში გუნდს ვერ დაეხმარება ესპანურ პამესაში მოთამაშე გიორგი შარაბიძე, რომელსაც ესპანეთში მენისკის ოპერაცია გაუკეთეს. აგრეთვე გამოირიცხა სამედიცინოს ფორვარდის ირაკლი გაბისონიას თამაშიც, რომელსაც ტრავმა გაურთულდა.

რაც შეეხება დავით მაისურაძეს, ის უკრაინაში სწავლობს და გამოცდების გამო საქართველოში დროულად ვერ ჩამოვიდა.

სამაგიეროდ მწყობრშია ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი თორნიკე შენგელია, რომლის თამაში საეჭვო იყო. მან გასულ სეზონში ბევრი ითამაშა ვალენსიური პამესას ძირითად შემადგენლობაში. ის კი არა, 17 წლის ქართველს ესპანური პრიმერადივიზიონის რამდენიმე მატჩი ძირითად ხუთეულშიც კი დააწყებინეს და თორნიკეს თავი არ შეურცხვენია. ასაკის მიუხედავად, შენგელია საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრიცაა და ევროპის 20 წლამდელთა ჩემპიონატის (B დივიზიონი) შემდეგ იგორ კოკოშკოვის გუნდს ავსტრიულ შეკრებაზე შეუერთდება.

ახალგაზრდული ნაკრების სრული სია ასეთია:

**უკანახაზელები:** ბექა წივწივაძე (სსაუ), დავით ნანიტაშვილი (დინამო), ზურაბ მაჭავარიანი (ენერჯი-ინვესტი), მალხაზ აბაიშვილი (ენერჯი-ინვესტი), ლევან ცეკვავა (ენერჯი-ინვესტი)

**ფორვარდები:** კოკა ტომარაძე (საბადელი, ესპანეთი), გიგა კვეტენაძე (ბარბერე, ესპანეთი), ლევან შენგელია (როდ აილენდი, NCAA, აშშ), თორნიკე შენგელია (პამესა, ესპანეთი), ტატო ჩაჩიბაია (სსაუ)

**ცენტრები:** ნიკა მეტრეველი (სიენა, იტალია), რიჩარდ მათიაშვილი (ავიამშენი)

# ლეგენდა

*მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნები, დღეს პენსიაზე გასული ამერიკელები ჯონ მაკინროი, პიტ სამპრასი, გერმანელი ბორის ბეკერი შვეიცარიელ როჯერ ფედერერს მეთხუთმეტე დიდი სლემის მოგების შემდეგ ისტორიის უდიდეს ჩოგბურთელად თვლიან.*



ის ყველა დროის ყველაზე დიდი ჩოგბურთელია - მან მოიგო ყველა საფარის დიდი სლემის ტურნირები. ჯერ 27 წლისაა. ასე რომ, თადარიგში აქვს კიდევ რამდენიმე ბრწყინვალე წელიწადი, - ფედერერით აღფრთოვანებას ვერ მალავს დიდი სლემის ექვსგზის გამარჯვებული ბეკერი და იქვე დასძენს, რომ შვეიცარიელის უნივერსალური თამაში მას განსაკუთრებულ ჩოგბურთელად ხდის. მას მართლაც რომ არა აქვს სუსტი წერტილები .

მაკინროის თქმით, ფედერერი ყველა იმ ჩოგბურთელზე აღმატებულია, რომლებიც უდიდესთა კატეგორიას განეკუთვნებიან.

ყველაზე მეტად დაჯილდოებული ჩოგბურთელია იმათ შორის, რომელიც კი ოდესმე მინახავს. ნახვით კი ბევრი მინახავს. მინახავს როდ ლეივერი, მითამაშია უდიდესების წინააღმდეგ - პიტ სამპრასთან, ბორის ბეკერთან, ჯიმი კონორსთან, ბიორნ ბორგთან, - ამბობს დიდი სლემის ტურნირების შვიდგზის გამარჯვებული ამერიკელი, - მგონი, ეს ბიჭი ყველა დროის უდიდესი ჩოგბურთელია .

ქების სიტყვებს არ იშურებს პიტ სამპრასიც. თოთხმეტი დიდი სლემის მომგები პისტოლ პიტი დარწმუნებულია, რომ მეთხუთმეტე სლემის შემდეგ ფედერერი არ დაკმაყოფილდება და ამ დიდ გზას გააგრძელებს.

ფედერერი - ეს ზღვარია . 27 წლისაა. ასე რომ, კვლავაც იბრძოლებს აქ, უიმბლდონზე, აშშ-ის ღია პირველობაზე და ყველა დანარჩენ უმთავრეს საჩოგბურთო ასპარეზობაზე. თუ ასე გააგრძელებს და ჯანმრთელობაც ხელს შეუწყობს, შეძლებს მოიგოს 18-19 დიდი სლემი. ეს ბიჭი ლეგენდაა. ახლა ის კერპია .

უიმბლდონის ფინალში ფედერერის მეტოქე ენდი როდიკი დევისის თასის შეხვედრაში აშშ-ის ნაკრებს ხორვატების წინააღმდეგ (10-12 ივლისი) ვერ შეეშველება. ამერიკელის უარის მიზეზი უიმბლდონის ფინალში ფედერერთან მატჩში დაშავებული თეძოა.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს ტენდერს სენაკის N3 (მე-2 კორპუსი) და N7(პირველი კორპუსი) საჯარო სკოლების სახურავების და კარ-ფანჯრების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 ლოტად:**

Lლოტი 1 - საჯარო სკოლების სახურავების რეაბილიტაცია

Lლოტი 2 - საჯარო სკოლების კარ-ფანჯრების რეაბილიტაცია

.**2.**სამუშაოების მიწოდების განხორციელების სავალდებულო ვადაა სახელმწიფო შესყიდვის **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.**

**3.სატენდერო წინადადებების წარდგენა, კონვერტების გახსნა და შეფასება მოხდება ალტერნატიული წესით.**

**3.** დაინტერესებულმა პირებმა შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა წარუდგინონ 2 დახურული კონვერტი დედანის სახით (კონვერტზე გაკეთებული შესაბამისი აღნიშვნით N1 და@N2) N1 კონვერტში უნდა მოთავსდეს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები და ტექნიკური წინადადება, N2 კონვერტში ის დოკუმენტები, ინფორმაცია და ფინანსური წინადადებები, რომელიც გამოიყენება შეფასებისთვის. კონვერტები სატენდერო კომისიის აპარატს წარედგინება **ქართულ ენაზე 2009 წლის 29 ივლისს 11:00 საათიდან 16:00 საათამდე,** მისამართზე: სენაკი, ჭავჭავაძის ქ. N103, მე-2 სართული. **კონვერტები გაიხსნება -29 ივლისს 16:00 საათზე.** შემდეგ მისამართზე: სენაკი, ჭავჭავაძის ქ. N103, მე-3 სართული.

**4.** პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**4.1. იურიდიულ პირთათვის**:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ)ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ)ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არარის დადებული ყადაღა;

ვ)ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღისა და ინკასოს არარსებობის შესახებ.

**4.2. ფიზიკურ პირთათვის**:

ა)ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ)ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება.

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიულ პირთათვის:**

ა)ინფორმაციას უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განხორციელებულ ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ არანაკლებ 100000 ლარის ოდენობით;(უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტი
ს დასკვნა აღნიშნულ ინფორმაციაზე)

ბ)ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;(უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა აღნიშნულ ინფორმაციაზე)

გ)ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ)ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის და ინკასოს არარსებობის შესახებ;

ე)ინფორმაცია პერსონალის კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ;

ვ)უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან).

ზ)საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება ცნობის სახით, რომ ის არარის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მომწოდებლების რეესტრში.

თ) ინფორმაცია მიწოდების ვადების შესახებ;

ი) ინფორმაცია წინასწარი ანგარიშსწორების შესახებ;

კ) ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ;

**5.**პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

**სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორების აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 მუხლის მიხედვით;**

**ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.**

**6**.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

**7.**სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინის კოდი: სენაკი 300373174.

**გადახდის დანიშნულება-**სატენდერო მოსაკრებელი **სენაკის, საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისათვის საჭირო ტენდერი**, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

**8.**სატენდერო დოკუმენტაცია(ქართულ ენაზე) გაიცემა **განცხადების გამოქვეყნებიდან 28 ივლისის 17:00 საათამდე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ.

9.ტენდერში მონაწილე ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში GAEგაეცნოს
სატენდერო დოკუმენტაციას.

**10.**პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება. თითო ლოტზე თითო გამარჯვებული გამოვლინდება.

**11.**სავალდებულოა წარმოდგენილი იქნას სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო ან სადაზღვევო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1% ოდენობით.

**12.**ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური Gღირებულების 5%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე. (საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნეს ბანკიდან ან სადაზღვევო ორგანიზაციიდან)

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: ბიქტორ გვარამია, ტელ: 7 75 10 მანანა ბაღათურია, ტელ: 7 76 35

სატენდერო კომისია

---

გაეროს განვითარების პროგრამა

**UNDP საქართველო**

**7 ივლისი, 2009**

**მიკროდაფინანსება კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებისათვის**

გაეროს განვითარების პროგრამა "მიკროდაფინანსება კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებისათვის" იწვევს ორგანიზაციებს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად. ტენდერის თემაა "ტრენინგების და კონსულტაციური მომსახურების უზრუნველყოფა ბიზნესის განვითარებისთვის **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში**". პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

ტენდერის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ საიტებზე: http://www.undp.org.ge, http://www.jobs.ge., www.regions.ge და www.publicity.ge;

გთხოვთ, თქვენი წინადადება წარმოადგინოთ არაუგვიანეს **17:00 სთ**
**24 ივლისისა, 2009** შემდეგ მისამართზე: ფალიაშვილის ქ. 66, სადარბაზო IV, ბინა 48, Tbilisi 0179, საქართველო.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გიწვევთ მობრძანდეთ საინფორმაციო შეხვედრაზე პარასკევს, 10 ივლისს **10:00 საათზე** შემდეგ მისამართზე: კოსტავას ქ. 54, სასტუმრო "სამეგრელო" ზუგდიდი, საქართველო.

გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:
ია ჭანუყვაძე
მიკროდაფინანსება კონფლიქტით დაზარალებული რეგიონებისათვის
ტელ: (+995 32) 25 18 71 (104)
ფაქსი: (+995 32) 25 18 71 (105)

---

## განცხადება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს (ქ. ბათუმი, ვ. გორგასალის ქ. N124) მიერ მდინარე ჭოროხის შესართავიდან ამოღებული ნატანით ადლიის სანაპირო ზოლის დროებითი ნაპირსამაგრი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს ჰოლდერი".

---

## ცვლილება საქართველოს იუსტიციის სამინსიტროს სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მიმდინარე წლის 1 ივლისს უძრავ-მოძრავი ქონების შეფასების მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერის განცხადებაში

**განცხადების ტექსტიდან ამოღებული იქნეს მოთხოვნა:**

"პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ 1 %-ის ოდენობის საბანკო გარანტია გაცემული მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ"

## სატენდერო განცხადება

საქართველოს სახელმწიფო წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს სახით, "ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონის და "ნავთობისა და გაზის ოპერაციების მარეგულირებელი ეროვნული წესების" თანახმად 2009 წლის 8 ივლისს აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს საქართველოს ღრმა ზღვის IID, სალიცენზიო ბლოკზე ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოსაპოვებლად.

სალიცენზიო ბლოკების ადგილმდებარეობა მოცემულია თანდართულ რუკაზე.

| სალიცენზიო ბლოკი | ბლოკის ფართობი კვ.კმ | განაცხადების მიღების ბოლო ვადა | განაცხადების გახსნის ვადა |
|---|---|---|---|
| IID (100მ სიღრმემდე ზღვის ფსკერიდან) | 3556 $კმ^2$ | 24.08.2009 17 საათი (ადგილობრივი დროით) | 24.08.2009 18 საათი (ადგილობრივი დროით ) |
| IID (ზღვის ფსკერიდან 100მ-ზე ღრმა) | 3556 $კმ^2$ | 24.08.2009 17 საათი (ადგილობრივი დროით) | 24.08.2009 18 საათი (ადგილობრივი დროით ) |

სალიცენზიო ბლოკზე შემოტანილი განაცხადები გაიხსნება საჯაროდ ზემოთ მითითებულ დროს. ეროვნული სააგენტოს ოფისში, მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი ყაზბეგის გამზირი №47, მე-4 სართული.

დამატებითი ინფორმაცია

ეროვნული სააგენტოს უფროსისადმი წერილობითი თხოვნის საფუძველზე დაინტერესებულ პირებს 2009 წლის 10 ივლისიდან შეუძლიათ მიიღონ საინფორმაციო პაკეტები სალიცენზიო ბლოკებისა და ტენდერის პირობების შესახებ. საინფორმაციო პაკეტის მიღება შესაძლებელია უფასოდ, ნაბეჭდი ან/და ელექტრონული ვერსიის სახით. სააგენტო უზრუნველყოფს საინფორმაციო პაკეტის მომთხოვნი პირების კერძო კურიერით მომსახურებას, თუ მომთხოვნი პირი წინასწარ ან ადგილზევე გადაიხდის კერძო კურიერის მომსახურების საფასურს.

საინფორმაციო პაკეტი მოიცავს:
ა) სალიცენზიო ფართობის ადგილმდებარეობასა და კოორდინატებს ;
ბ) ხელშეკრულების სამუშაო ვერსიას თითოეული ბლოკისთვის;
გ) მინიმალურ სავალდებულო ფინანსურ და ტექნიკურ მოთხოვნებს ყოველი ბლოკისთვის;
დ) ლიცენზიის გაცემისა და ხელშეკრულების გაფორმების გრაფიკს;
ე) განაცხადის შეტანის ინსტრუქციებს ტენდერში მონაწილეებისათვის, მონაწილეობის მოსაკრებლის ოდენობისა და მისი გადახდის ფორმის ჩათვლით.

წერილობითი თხოვნა უნდა გამოიგზავნოს შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი 0177. ალ. ყაზბეგის გამზირი №47, მე-4 სართული.
ტელ: (995 32) 253311, ელექტრონული ფოსტა **info@naog.ge,** საკონტაქტო პირი: ალექსანდრე ჭაბუკიანი




## განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ატარებს ღია პირველად აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება **შპს "იალქანი"-ს (სნ 205088661)** კუთვნილი, მცხეთის რ-ნი, სოფ.საგურამოში მდებარე ქონება, კერძოდ:

| № | დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მიწის ნაკვეთი | კვ.მ | 2000 | 8 | 16000 |
| | მიწის ნაკვეთი | კვ.მ | 1800 | 8 | 14400 |
| | ჯამი | | | | 30400 |

(შეფასებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ).

***აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 10 აგვისტოს დღის 12 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ№8, თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.***

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების **2%,** რომლის შეძენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატან ქონებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მსურველები 2009 წლის 10 აგვისტომდე დაუკავშირდნენ ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია) ტელეფონზე 26-17-62.

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური**

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**
**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**
მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

## სატენდერო განცხადება

European Union — United Nations Development Programme

UNDP

გაეროს განვითარების პროგრამას *"ადრეული რეაბილიტაციისა და მდგრად განვითარებაზე გადასვლის ხელშეწყობის"* პროექტის ფარგლებში პატივი აქვს

**გამოაცხადოს ტენდერი**

**გორის მუნიციპალიტეტის სოფ.ტყვიავის და ქ.გორის კვერნაკის დასახლების წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაზე**

წინადადებები წარმოადგინეთ დაბეჭდილი სახით დალუქულ კონვერტებში (დედანი და ასლი), არაუგვიანეს 2009 წლის 27 ივლისის 17:00 სთ-მდე მისამართზე:
თბილისი, გაეროს სახლი, ერისთავის ქ. №9.

წინა სატენდერო საინფორმაციო შეხვედრა დანიშნულია 2009 წლის 14 ივლისს 14:00 საათზე. საჭირო ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:
გაეროს განვითარების პროგრამა
ქ. გორი, სტალინის გამზირი №4; საკონტაქტო ტელეფონი 8(270) 7 95 70

სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: **www.undp.org.ge**

## სს " ზაჰესი"

აცხადებს მის მფლობელობაში მყოფი შემდეგი ა/მანქანების გაყიდვის შესახებ:

- INFINITI QX4 - გამოშვება 1997 წ;
- BMW 528 - გამოშვება 1998 წ;
- MITSUBISHI PAJERO - გამოშვება 1998 წ;
- VOLVO S 800 - გამოშვება 2000 წ.

მსურველებს ვთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ზაჰესი, კასკადის ქ. N1
ტელ. 895 11 68 36

## ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

